პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 273 (9741) | ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ავამაღლოთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე (მე-2 გვერდი).
ა. სურგულაძე. — დიდი რუსი ხალხი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალაა (მე-2 და მე-3 გვერდი).
უკანასკნელი ფოსტიდან. — ფოტოსურათი — გამოცანა (მე-2 გვერდი).
დაუდევრობა თუ დანაშაული? (მე-2 გვერდი).
გავაუმჯობესოთ სახელმწიფო სასურსათო ფონდის მფლობელთა მომსახურება (მე-3 გვერდი).
უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (მე-3 გვერდი).
ჩვენი საბჭოთა ცხოვრება (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია (მე-4 გვერდი).
უშიშროების საბჭოში (მე-4 გვერდი).
საფრანგეთის ეროვნულ კრებაში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა ექიმი

კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვაზე უუდმივი ზრუნვა თვით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბუნებიდან გამომდინარეობს. სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ ჯანმრთელობის დაცვის მოწესრიგების, სამედიცინო კადრების მომზადებისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემატურად განხორციელების საკითხებს.

ცარიზმის შავბნელ ეპოქაში ექიმი ისევე უუფლებო და დევნილი იყო, როგორც სახალხო მასწავლებელი. გენიალური ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, მათ საცოდავ გროშებს აძლევდნენ, ისინი შიმშილობდნენ და იყინებოდნენ ქოხებში, რომლებიც არ თბებოდა და საცხოვრებლადაც არ ვარგოდა. ექიმები იმ დროს, ისევე როგორც სახალხო მასწავლებლები, ცხოვრობდნენ საქონელთან ერთად, რომელთაც ზამთრობით ქოხებში ერეკებოდნენ. ექიმსა და სახალხო მასწავლებელზე უუდამ მაღლა იდგა ყოველი იასაული, სოფლის ყოველი შავრაზმელი, პოლიციელი ან ჯაშუში, რომ არაფერი ვთქვათ მთავრობის მხრივ ხალხს ჭეშმარიტ მოქირნახულეთა დევნასა და შევიწროებაზე. ასეთი იყო იმ დროს პროვინციის, და არა მარტო პროვინციის, ექიმის ცხოვრება.

ექიმი თავისი პროფესიის გამო ყველაზე კეთილშობილი, სათნო, გულისხმიერი და ხალხის მოამაგე იყო. მაგრამ მას მეფის ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული მთავრობა არ თვლიდა „საკარგებლო“ ადამიანად. მეფის რუსეთის დროის ექიმი მთავრობის მხრივ იოტისოდენა დახმარებასაც არ გრძნობდა. პირიქით, თუ ექიმი მოსახლეობას ემსახურებოდა გულწრფელად, თუ მთელი თავისი ძალღონით ებრძოდა სოფლად და ქალაქად გამეფებულ სოციალურ სენს, ექიმბაშობას, უკულტურობას და ჩამორჩენილობას, იგი ამ საქმეში ეყრდნობოდა მხოლოდ თავის ცოდნას და გამოცდილებას, ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის ბრძოლის კეთილშობილურ იდეალებს. პროგრესულად მოაზროვნე ექიმს არ აშინებდა არავითარი სიძნელე, იგი მზად იყო, ზოგჯერ უარიც კი ეთქვა საკუთარ მატერიალურ საარსებო საშუალებებზე, ოღონდ უმეცრებასა და სიღატაკეში მყოფი მოსახლეობისათვის რაიმე სარგებლობა მოეტანა.

გამოჩენილმა რუსმა მწერალმა და ექიმმა ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვმა, რომელმაც ერთხელ გორკი მიიწვია თავისთან სოფელში, სადაც მას თავის მიწის მცირე ნაკვეთი და თეთრი ორსართულიანი პატარა სახლი უჩვენა, დიდ მწერალს ნაღვლიანად უთხრა: „მე რომ ბევრი ფული მქონდეს, აქ მოვაწყობდი სანატორიუმს სოფლის ავადმყოფებისათვის. იცით, მე აქ ავაგებდი ნათელ შენობას — ძლიერ ნათელს, დიდი ფანჯრებით და მაღალი ჭერით. მე მექნებოდა მშვენიერი ბიბლიოთეკა, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტები, საფუტკრე, ბოსტანი, ხეხილის ბაღი; შეიძლებოდა ავადმყოფებისათვის ლექციების წაკითხვაც აგრონომიის, მეტეოროლოგიის შესახებ“...

ეს იმ დროისათვის ფანტაზია იყო.

მაგრამ გავიდა წლები, და საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ფანტაზია სინამდვილედ აქცია. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე არნახულ დონემდე ავიდა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო საქართველოში ამჟამად 4.000-მდე სამკურნალო დაწესებულებაა. რესპუბლიკის სოფელ ადგილებში 900-მდე საექიმო პუნქტი მუშაობს, ექიმთა რაოდენობამ კი საქართველოში სტომატოლოგებთან ერთად რამდენიმე ათასს მიაღწია.

ჩვენს ექიმებს მუშაობა უხდებათ არა შიმშილსა და სიცივეში, არა ბნელ და სადგომად გამოუსადეგარ შენობებში, არამედ ნათელ, დიდ ფანჯრებიან და ჭერმაღალ მშვენიერ სამკურნალო დაწესებულებებში, სანატორიუმებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში, რომლებიც მთავრობის მიერ უზრუნველყოფილია ყოველგვარი ინვენტარით, მოწყობილობით, მედიკამენტებითა და რთული სამკურნალო აპარატურით.

საბჭოთა ექიმი!

ამაყად გაისმის ეს სახელი ჩვენი უძლეველი სოციალისტური სამშობლოს კიდითკიდემდე. ჩვენს ქვეყანაში ექიმი გარემოსილია პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი ყურადღებით, მთელი ხალხის მხურვალე სიყვარულით. საბჭოთა ექიმი ინტელიგენტური შრომის ადამიანია, იგი დაუცხრომლად იბრძვის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის, საბჭოთა ქვეყნის ჯანსაღი მოზარდი თაობის აღზრდისათვის, ყველა სახის ავადმყოფობის წარმომშობი მიზეზებისა და კერების ლიკვიდაციისათვის.

საბჭოთა ექიმში ხალხი ხედავს თავის ერთგულ მოამაგეს, ჩამორჩენილობისა და უკულტურობის წინააღმდეგ დაუღალავ მებრძოლს, ჰიგიენური და სანატარული განათლების საუკეთესო პროპაგანდისტს, ჭეშმარიტ საბჭოთა მოქალაქეს, რომელშიც განსახიერებულია ლენინ — სტალინის დიადი ეპოქის ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისებები.

ჩვენი რესპუბლიკის სამედიცინო მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმიის 309 საუკეთესო წარმომადგენელი ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამას წინათ დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის კაჭრეთის რაიონის სოფელ ჯიმითის საექიმო უბნის გამგე შალვა სილოვანის-ძე გოგორიშვილი. იგი უკვე 30 წელია, რაც სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს უმწიკვლოდ ემსახურება. გოგორიშვილი უყვართ და პატივსა სცემენ არა მარტო ჯიმითში, არამედ მის მახლობელ სოფლებშიც, სადაც შალვას თავისი მადლიანი მკურნალი ხელით არა ერთი და ორი ადამიანის სიცოცხლე გამოუგლეჯია სიკვდილისათვის.

ქუთაისში ყველა კარგად იცნობს ანა გედეონის ასულ გოგოლაშვილს, ბავშვთა საავადმყოფოს პოლიკლინიკური განყოფილების გამგეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. ამ კეთილ ადამიანს გულში ეხუტებიან ბავშვები, როცა კი მასთან, როგორც მკურნალთან, მიიყვანენ დედები, თითქოს ბავშვები გრძნობენ, რომ მათი გამოჯანმრთელება საიმედო ხელშია. ანა გედეონის ასულის მაგალითზე იზრდება მრავალი ახალგაზრდა მკურნალი, რომლებიც სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგზავნებიან სამუშაოდ.

1907 წლიდან მუშაობს ექთან-მეანად ნინო დავითის ასული გარსიაშვილი. მას პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებენ საგარეჯოს რაიონის მშრომელები, რომელთა ჯანმრთელობის დაცვის უანგარო სამსახურს შეალია თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ნინო დავითის ასულმა. მთავრობამ იგი ლენინის ორდენით დაჯილდოვა.

ბარაქალა ხალხის მოამაგე სახელოვან მკურნალთა მადლიან მარჯვენას!

ეჭვს გარეშეა, ჩვენი რესპუბლიკის მედიცინის მუშაკებში უდიდეს შრომითს აღფრთოვანებას გამოიწვევს ცნობა საქართველოს ექიმთა და მედიცინისა და ფარმაცევტიკის სხვა მუშაკთა დიდი ჯგუფის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. ეს ჯილდო ავალებს მედიცინის ყველა მუშაკს — ისევე ერთგულად, ისევე თავდადებით და უმწიკვლოდ ემსახუროს ხალხს, ჩვენს ქვეყანას, როგორც ემსახურებოდნენ და ახლაც ემსახურებიან დაჯილდოებულნი.

საბჭოთა ექიმი აღჭურვილია ყველაზე მაღალი ნდობით — მას მინდობილი აქვს მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი კაპიტალის — ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა. მედიცინის თვითეული მუშაკი თავისი თავდადებული შრომით უნდა ამართლებდეს ამ მაღალ ნდობას.

1953 წლის 23 ნოემბერს დღის 12 საათზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში მოწვეულია ტექნიკუმებისა და სპეციალურ საშუალო სკოლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური საგნების მასწავლებელთა რესპუბლიკური თათბირი. დღის წესრიგი: „საქართველოს სსრ ტექნიკუმებსა და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

თათბირზე დასწრება სავალდებულოა აღნიშნული სასწავლებლების დირექტორებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საგნების მასწავლებლებისათვის.

ჩვენს დიად სამშობლოში



მიწლოტოვის ოლქი. ლისვის ტურბგენერატორის ქარხანა უშვებს სინქრონულ საკომპრესორო ძრავებს საშახტო და სამაცივრო დანადგარებისათვის, ვერტიკალურ ჰიდროგენერატორებს და სხვა სახის პროდუქციას. ქარხანა აღჭურვილია მძლავრი საბჭოთა ჩარხებით. **სურათზე:** ჰიდროტურბინის სტატორის დამუშავება.

ფოტო ბ. ვიზულისა
(საკდესის ფოტოქრონიკა).

მანქანები კვების საწარმოებისათვის

ლენინგრადი, 16 ნოემბერი. (საკდესი). დიდი წარმადობის მოწყობილობით ამარაგებს კვების მრეწველობის საწარმოებს ქარხანა „კრასნაია ვაგრანკა“. დღეს მანქანათმშენებლებმა თბილისსა და ანდიჟანს გაუგზავნეს ზეთსახდელი წნეხები.

ქარხნის კოლექტივი ზრდის მანქანების გამოშვებას, ქმნის ახალ მოწყობილობას. ვოროვსკის სახელობის მაკარონის ქარხანას საეჭსპლოატაციოდ გადაეცა უწყვეტი მოქმედების ახალი წნეხი, რომელიც ქარხანა „კრასნაია ვაგრანკამ“ დაამზადა. ფქვილისა და წყლის მიწოდება, აგრეთვე მოზელა და წნეხა ავტომატურად წარმოებს. მანქანა საათში უშვებს 500 კილოგრამ მაკარონსა და სხვა ფქვილის ნაწარმს.

ქარხნის კონსტრუქტორებმა ინჟინერ ი. ხოლმენკოს ხელმძღვანელობით გააუმჯობესეს ზეთსახდელი წნეხი. იგი ხდის 40 სხვადასხვა სახეობის მცენარის ზეთს. მექანიზმი მოხერხებულად სამართავია.

ავეჯის საწარმოთა მექანიზაცია

კიშინიოვი, 16 ნოემბერი. (საკდესი). კიშინიოვის ავეჯის კომბინატმა აითვისა ზამბარიანი მატრაცებისა და დივნების ნაკადური წარმოება. მუშების იმავე რაოდენობით საამქრო უშვებს ერთისამად მეტ პროდუქციას. ახლა ნაკადური წესით მზადდება მთელი ავეჯი.

საწარმოში ხორციელდება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. მექანიზებულია სახმობი მეურნეობა, იდგმება ახალი სახეხი ჩარხები.

კომბინატი ყოველდღიურად უშვებს 500-მდე საწერ და სასადილო მაგიდას, ტანსაცმლისა და წიგნის კარადას, დივანს, საწოლს. მომავალ წელს ავეჯს ამოშვება თითქმის ერთნახევარჯერ გადიდდება.

★

საშეფო დახმარება კოლმეურნეობებისადმი

ლენინგრადი, 17 ნოემბერი. (საკდესი). კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი შეფობის ორგანიზაციის საკითხებს ეძღვნება ამუამად ქალაქის რაიონებში პარტიული აქტივების კრებები და პარტიის რაიკომების პლენუმები.

პარტიის კალინინის რაიკომის პლენუმმა განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რაიკომის მდივნის ამხ. მიტროფანოვის მოხსენება ვოლოსოვოს რაიონის კოლმეურნეობებისადმი საწარმოთა დახმარების შესახებ. გამოქვეყნდა კოლმეურნეთა წერილი თვიანთი შეფის — სტალინის სახელობის ლოთონის ქარხნის კოლექტივისადმი. კოლმეურნეები მადლობას უძღვნიან ტურბინმშენებლებს სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის დახმარების გამო. ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ქარხანამ იკისრა შეფობა მე-17 პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობისა და კოლმეურნეობა „ვოზროჟდენიესადმი“. ამ ხნის განმავლობაში ორივე სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა შეფების დახმარებით დაამთავრეს პირუტყვის სადგომების მომზადება ზამთრისათვის. საწარმომ გამოიყენა შინარესურსები და უზრუნველყო საკოლმეურნეო სამეცდლოები ინსტრუმენტითა და მასალით.

მნიშვნელოვან საშეფო მუშაობას ეწევიან კოლმეურნეობებში ქარხნების „კრასნი ვიბორუეცის“, „ლენტრუბლიტის“ და სხვების კოლექტივები. შეფების დახმარებით ვოლოსოვოს რაიონის კოლმეურნეობებში შეკეთებული და ზამთრისათვის მომზადებულია მეცხოველეობის 60-მდე სადგომი, ოთხი საკოლმეურნეო კლუბი, 32 ათასი ჩარჩოთი ფართოდდება საკვალსათბურო მეურნეობა, შენდება სათბურები საადრეო ბოსტნეულის მოსაყვანად.

პარტიის რაიკომის პლენუმმა აღნიშნა ნაკლოვანებანი და დასახა ღონისძიებანი ვოლოსოვოს რაიონის კოლმეურნეობებისა და მტსებისადმი საწარმოთა საშეფო დახმარების გასაძლიერებლად.

სასოფლო - სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები

ხარკოვი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ქალაქის მანქანათმშენებლები მაგისტრალური თბომავლების, მძლავრი გენერატორების, ჩარხებისა და სხვა მოწყობილობის გამოშვებასთან ერთად ადიდებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების გამოშვებას.

დღეს სატრანსპორტო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა გრაფიკის გასწრებით ტრაქტორების სხვადასხვა სათადარიგო ნაწილის დიდი პარტია დაამზადა ნახევარი თვის გეგმის გადამეტებით. ამ ნაწილებს აკეთებს საწარმოს ბევრი საამქრო. შეჯიბრებაში ჩაბმულთა პირველ რიგებშია სათბობი აპარატურის საამქროს კოლექტივი. ტრაქტორის ძრავების შესაკეთებლად მან გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა რამდენიმე ათასი სარქველი, გამფრქვევი და პლუნჯერი.

საგზაო მანქანების ქარხანამ, რომელიც ამზადებს დიდი ტვირთის საბმურებსა და ბულდოზერებს, დაავალების გადამეტებით გააკეთა ბულ-ბოსტნის ტრაქტორ „ხტზ-7“-ის 700-მდე კვანძი.

ხარკოვის საწარმოებმა, ძირითადი პროდუქციის გარდა, მარტო ორ თვეში გამოუშვეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ათეულ ათასობით სათადარიგო ნაწილი.

ახალი კოშკური ამწე

კალინინგრადი. კალინინგრადის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა შეასრულა კოშკური ამწეების გამოშვების წლიური დავალება.

საწარმომ აითვისა ახალი კონსტრუქციის ამწეების წარმოება ჩვენი ქვეყნის რკინიგზის მაგისტრალებზე მძიმე სამუშაოთა მექანიზაციისათვის. ამწის ფუძეა ფოლადის ურიკა, რომელიც ლიანდაგზე იდგმება. ურიკაზე ამონტაჟებენ ირგვლივ მოქმედების 32-მეტრიან ისარს. ამწე იღებს ხუთ ტონა ტვირთს.



იაროსლავლის კარდის ფაბრიკა მსხვილი მექანიზებული საწარმოა. იგი უშვებს ტექნიკურ ქსოვილებს, რომლებსაც შინის წარმოებაში იყენებენ. საწარმოში ფართოდ გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. **სურათზე:** საფეიქრო საამქროში. აქ მთელ პროდუქციას პირველი ხარისხით უშვებენ.

ფოტო კ. ივანოვისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია

კიევი, 17 ნოემბერი. (საკდესი). უკრაინის მექანიზატორები დიდ მუშაობას ეწევიან მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის დარგში. ფერმებში წყალსადენების გაყვანის წლიური გეგმა შესრულებულია თითქმის ერთიორად. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე დავალება ფერმის შიდატრანსპორტის მოწყობის, საწველაცი აგრეგატების მონტაჟისა და ჯეზეში და კონცენტრირებული საკვების დასაჭრელი მანქანების დადგმის დარგში. ათას ფერმაში მოწყობილია ავტოსარწყულებლები.

კიევის ოლქის მოწინავე ჩერკასის მტს-ის მემონტაჟეებმა წელს კოლმეურნეობებში მოაწყეს შვიდი ქარძრავა, ექვს ფერმაში გაიყვანეს წყალსადენი, დაამონტაჟეს ავტოსარწყულებლები და ააგეს ვიწროლიანდაგიანი გზები. მტსების დახმარებით ახლა 65 კოლმეურნეობის ფერმებში მექანიზებულია წყალმომარაგება.

ფეიქრები ამცირებენ წარმოების დანაკარგს

ნარვა (ესტონეთის სსრ). 14 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დამთავრდა კომბინატ „კრენჰოლმის მანუფაქტურის“ საქსოვი ავტომატების საამქროს ჩარხების გადაყვანა სათადარიგო მაქოებით მუშაობაზე. ახლა მუშაობის ეს მეთოდი, რომელიც საქსოვი ავტომატური ჩარხების საამქროს უფროსმა ამხ. ვასაძემ შემოიღო, ათვისებულია 800 ავტომატზე. ეს სიახლე სპობს მაქოს უწესვრობის გამო ჩარხების მოცდენას, ამცირებს ძაფის წყვეტიანობას, 1 პროცენტით აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. წინასწარი გამოანგარიშებით, ამის მეოხებით საამქრო წელიწადში 200 ათას მანეთს დაზოგავს.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით 17 ნოემბერს ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთა დიდ ჯგუფს.

ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის ორდენები და მედლები გადაეცა ექიმთა ჯგუფს და საქართველოს მედიცინისა და ფარმაცევტიკის სხვა მუშაკებს. ლენინის ორდენი მიიღო 31 კაცმა. მათ შორის არიან: თბილისის მეორე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმი თ. ო. ხიზანიშვილი, რესპუბლიკის დედისა და ბავშვის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კლინიკის ექიმი ვ. ს. არღუთინსკი-დოლგორუკი, თბილისის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ექიმი ა. დ. ვარდოსანიძე, სამტრედიის ბავშვთა საავადმყოფოს ფერშალი მ. დ. ხუჭუა, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის აფთიაქის გამგე ა. მ. ორაგველიძე, ახალქალაქის რაიონული საავადმყოფოს ექიმი პ. ე. ასლანიანი, თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს ფერშალი მ. კ. კარელინა, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათის საფერშლე პუნქტის გამგე კ. ო. წულაძე, ხაშურის რაიონის სოფელ გომის საექიმო უბნის ბებიაქალი ვ. გ. ნავროზაშვილი, თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო და ა. მ. ჩარნეცსკაია და სხვები.

შრომის წითელი დროშის ორდენები გადაეცათ თბილისის მე-14 პოლიკლინიკის ექიმს ა. ვ. ახვლედიან-ჩახუნაშვილს, თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს ექიმს ე. ს. ბლიადეს, თბილისის ტალახსამკურნალოს ექიმს მ. გ. ეჯიბიას, ექიმს, კაჭრეთის რაიონის სოფელ ჯიმითის საექიმო პუნქტის გამგეს შ. ს. გოგორიშვილს და სხვებს — სულ 15 მედიცინის მუშაკს.

18 ექიმმა და მედიცინისა და ფარმაცევტიკის სხვა მუშაკმა მიიღო „საპატიო ნიშნის“ ორდენი. მათ შორის არიან: ხაშურის რაიონული საავადმყოფოს ექიმი პ. ლ. ვეფხვაძე, სიღნაღის პოლიკლინიკის ექიმი ნ. ა. ნაცვლიშვილი, თბილისის მე-13 პოლიკლინიკის სამედიცინო და შ. ს. ლაშაური და სხვები.

ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის მედალი „შრომითი ჰამაცობისათვის“ გადაეცა 24 დაჯილდოებულს.

63 ექიმმა და მედიცინისა და ფარმაცევტიკის სხვა მუშაკმა მიიღო მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“.

ორდენები და მედლები ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის მიიღო აგრეთვე სატყეო მრეწველობის მუშათა, ოსტატთა, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ჯგუფმა.

თბილისის პირველი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმმა ლ. ო. კალანდაძე-ხირსელმა, მარნეულის რაიონის სასწრაფო დახმარების სადგურის ფერშალმა გ. გ. ჩობანოვმა და ექიმმა. ლანჩხუთის სამშობიარო სახლის გამგემ ა. ნ. გუგუნავამ დაჯილდოებულთა სახელით მხურვალე მადლობა გამოთქვეს მაღალი ჯილდოსათვის.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და მოკლე სიტყვით მიმართა მათ. მან გამოთქვა რწმენა, რომ დაჯილდოებული ამხანაგები თავიანთი ნაყოფიერი შრომით ახალ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების საქმეში. (საქდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

საცალო ფასების შემცირება პოლონეთში

ვარშავა, 15 ნოემბერი. (საკდესი). მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი მყიდველობითი უნარის გაძლიერების მიზნით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ 1953 წლის 15 ნოემბრიდან ნაწილობრივ შემცირდეს სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასები, აგრეთვე ზოგიერთი მომსახურების ფასები.

დადგენილების თანახმად, პურისა და პურფუნთუშეული ნაწარმის ფასები მეცირდება საშუალოდ 7-12 პროცენტით, ორცხობილისა — 40 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა — 10 პროცენტით, შაქრისა — 13,5 პროცენტით, კანფეტისა — 10 პროცენტით, შოკოლადის ნაწარმისა — 10 პროცენტით, ხალვისა — 20 პროცენტით, ხელოვნური თაფლისა — 20 პროცენტით, ხილის ნაწარმისა — 15 პროცენტით, ბოსტნეულის ნაწარმისა — 25 პროცენტით, თევზისა და თევზის ნაწარმისა — 5-25 პროცენტით, ხორცის კონსერვებისა და ფრინველისა — 10-12,5 პროცენტით, ჩაისა — 5 პროცენტით და სხვ.

მცირდება აგრეთვე ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის ფასები, მათ შორის სპინისა — 10-20 პროცენტით, ქვანახშირისა — 10 პროცენტით, საფეიქრო საქონლისა — 10-30 პროცენტით, ტანისამოსისა — 10 პროცენტით, მაკაცის, ქალისა და ბავშვის საცვლებისა — 10 პროცენტით, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 10 პროცენტით, ქუდებისა — 10 პროცენტით, ფეხსაცმლისა — 10-15 პროცენტით საგალანტერეო საქონლისა — 15 პროცენტით, ავეჯისა — 10-15 პროცენტით, კოსმეტიკური საქონლისა — 10-25 პროცენტით, ცემენტისა — 10 პროცენტით, კრამიტისა — 10 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — 10-40 პროცენტით.

შესაბამისად მეცირდება ფასები რესტორანებში, სასადილოებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებში, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთ განსაზოგადოებულ საწარმოში.

ფასების ეს შემცირება, ნათქვამია დადგენილებაში, მშრომელ მოსახლეობას წელიწადში 4.500 მილიონ ზლოტის სარგებლობას მოუტანს, ხოლო სეზონური ფასების შემცირებასთან ერთად — წელიწადში 5.400 მილიონ ზლოტისას.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიაში წარმატებით მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური. საწარმოებში, დაწესებულებებსა და სოფლებში ეწყობა საუბრები საბჭოთა კავშირის შესახებ, უჩვენებენ საბჭოთა კინოფილმებს.

რუსული ენის სახალხო კურსების მსმენელნი აქტიურ მონაწილეობას იღებენ მკითხველთა კონფერენციებში საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა განსახილველად. მაგალითად, სლოვაკიაში 2.500 საუბარი მოეწყო.

დედაქალაქის მშრომელებში დიდი წარმატება აქვს პრაღაში გახსნილ გამოფენას „საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 10 წელი“. გამოფენას ყოველდღე ნახულობს 2 ათასზე მეტი კაცი, ხოლო კვირადღეობით — სულ ცოტა 4-5 ათასი კაცი.

საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციამ, რომელიც სტუმრად არის ჩეხოსლოვაკიაში, ინახულა ჩეხოსლოვაკიის მთელი რიგი საწარმოები, დაწესებულებები, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. დელეგაციის ხელმძღვანელი აკადემიკოსი კ. ი. სკრიაბინი 16 ნოემბერს ბრატისლავაში შეხვდა ადგილობრივ საწარმოთა წარმოების მოწინავეებს.

რუსული ენის სპეციალისტების მოამზადება რუმინეთში

ბუქარესტი, 17 ნოემბერი. (საკდესი). რუმინეთში წლითიწლობით მატულობს მოთხოვნილება რუსული ენის მასწავლებლებსა და კვალიფიციურ მთარგმნელებზე.

რუსული ენის სპეციალისტების კადრებს ამზადებს ბუქარესტის მ. გორკის სახელობის რუსული ენისა და ლიტერატურის ჰედაგოგიური ინსტიტუტი. ინსტიტუტს აქვს სამი ფაკულტეტი, რომლებზეც მეცადინეობს 2 ათასზე მეტი სტუდენტი. ინსტიტუტმა უკვე გამოუშვა 480 კაცი, რომლებიც გაგზავნენ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და სახელმწიფო აპარატში სამუშაოდ.

საბინაო მშენებლობა ბულგარეთში

სოფია, 14 ნოემბერი. (საკდესი). სახალხო ხელისუფლების წლებში ბულგარეთში ფართოდ გაჩაღდა საბინაო მშენებლობა. სოფიაში სახალხო ხელისუფლების 9 წლის მანძილზე მშრომელებისათვის აშენდა 6.100-ზე მეტი ბინა.

საერთოდ ბულგარეთში პირველი ხუთწლედის მანძილზე სახალხო საბჭოებმა, სამრეწველო საწარმოებმა და დაწესებულებებმა ქალაქებსა და სოფლებში ააშენეს საცხოვრებელი სახლები, რომელთა ფართობი დაახლოებით 3 მილიონ 400 ათას კვადრატულ მეტრს უდრის.

ახალი საოპერო თეატრი

სოფია, 17 ნოემბერი. (საკდესი). ქალაქ პლოვდივში ჩეხი კომპოზიტორის სმეტანას ოპერით „გაყიდული პატარძალი“ დაიწყო თავისი პირველი სეზონი პლოვდივის საოპერო თეატრმა. სპექტაკლს დაესწრო ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილკო ჩერვენკოვი.

პარტიული ცხოვრება

ავამაღლოთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე

საქართველოს კ. პ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

საქართველოს კ. პ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ყუჯიაშვილი.

პლენუმზე აღინიშნა, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი დახმარებისა და მზრუნველობის შედეგად სამხრეთ ოსეთის კოლმეურნე გლეხობა სულ უფრო ფართო შესაძლებლობას იღებს ოლქის სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის. პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების მდიდარი შესაძლებლობანი და რეზერვები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის გამოყენებული, ამიტომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობების რიცხვი არც თუ ისე მცირეა. დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ძლიერ ჩამორჩება ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიც არის მეცხოველეობა.

მეცხოველეობას ოლქის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მაგრამ, როგორც პლენუმზე გამოსულმა ამხანაგებმა თქვეს, მას დღემდე არ ექცევა სათანადო ყურადღება. უკანასკნელ წლებში მატების ნაცვლად პირუტყვის სულადობა შემცირდა. წლების მანძილზე ოლქის ვერც ერთი რაიონი ვერ ასრულებს მეცხოველეობის სულადობის ზრდის დავალებას. ამ მხრივ ამჟამადაც დიდი ჩამორჩენაა.

პარტიის ლენინგორის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ბერუაშვილმა განაცხადა, რომ მეცხოველე-ნოვატორების მეტად სასარგებლო წამოწყებანი საჭირო მხარდაჭერას ვერ პოულობს. მრავალი წელია, რაც ლენინგორის რაიონის მეცხვარე-პრაქტიკოსები უაღრესად საინტერესო მუშაობას ეწევიან ცხვრის ახალი ჯიშის — „ქსანურის“ გამოსაყვანად. მიღებულია დადგენილებანი, არის მიწერ-მოწერა, მაგრამ კონკრეტული დახმარება ჯერ არა ჩანს. საყურადღებოა ის, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ამ დიდი საქმისადმი დაუინტერესებლობას იჩენს.

საკოლმეურნეო ჯოგში მცირე რაოდენობით არის პროდუქტიული პირუტყვი. ოლქში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობის მხოლოდ 19,6 პროცენტს შეადგენენ ძროხები. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სტალინირის რაიონში.

ოლქის რაიონები, მთელი რიგი კოლმეურნეობები უყურადღებოდ ეკიდებიან პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების ისეთ დიდმნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიც არის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. წელს საკვების დამზადება თავიდანვე ცუდად დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგები არასახარბიელოა. ნოემბრის დასაწყისისათვის, როცა საუკეთესო ვადები უკვე გავიდა, უხეში საკვების დაგროვების გეგმა ოლქის კოლმეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 62,5 პროცენტით, მათ შორის თივისა — 59,4 პროცენტით. საჭიროა თვითეული ძროხისათვის დამზადდეს 5-6 ტონა სილოსი, სინამდვილეში კი ჯავის რაიონში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დამზადებულია 0,4 ტონა სილოსი, ლენინგორში — 1,4 ტონა, სტალინირში — 1,3 ტონა.

სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გადადგეს ნაბიჯები მეცხოველეობის ფერმის მექანიზაციისათვის. მაგრამ ერედველთა გამოცდილების გავრცელებისათვის თითქმის არაფერი კეთდება.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის სადგომი ბინების მშენებლობა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბინების მშენებლობის დავალება მხოლოდ 57,3 პროცენტით არის შესრულებული. მთელ რიგ კოლმეურნეობებში პირუტყვი ცუდ ბინებშია მოთავსებული.

პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო მებაღეობა-მევენახეობის საკითხს. მოწინავე კოლმეურნეობებში ხეხილს და ვაზს კარგად უვლიან და დიდ შემოსავალსაც იღებენ. წინა წლებთან შედარებით წელს ხილისა და ყურძნის გაცილებით მაღალი მოსავალი მიიღეს. მაგრამ ხეხილის ბაღი და ვენახი ყველგან როდია კარგად მოვლილი. ზღაურის რაიონში არ იღებენ ზომებს ხილისა და ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების განზოგადებისათვის. ამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ მკურნალობენ ბაღ-ვენახებს, არ უვლიან მათ და ამის გამო დაბალ მოსავალს იღებენ.

პლენუმზე მკაფიო ფაქტები იქნა მოყვანილი იმის ნათელსაყოფად, რომ კარტოფილის კულტურის განვითარების ხელსაყრელი პირობები გამოუყენებელი დარჩა. ოლქში წლითიწლობით მცირდება კარტოფილის ნათესები, დაბალია მოსავლიანობა, დანერგილი არ არის კარტოფილის რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი. ოლქში კარტოფილის თესლის შენახვის დავალება მხოლოდ 43 პროცენტით არის შესრულებული, აქედან სტალინირის რაიონში — 17 პროცენტით, ზნაურის რაიონში — 1,9 პროცენტით. საპირო ყურადღება არ ექცევა მებოსტნეობას.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ოლქის მტს-ები ნელა აწყობენ მუშაობის გარდაქმნას ახალი ამოცანების შესაბამისად, სისტემატურად არ ასრულებენ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აქტიურად არ არიან ჩაბმული საკოლმეურნეო წარმოებაში. ამაზე გააძახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში პარტიის ჯავის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ვალიევმა. ჯავაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგი ჩამორჩება. ეს აქ მომუშავე სპეციალისტების სიმცირითაც არის გამოწვეული. რაიონში 16 აგრონომის ნაცვლად 1 აგრონომი, ხოლო 14 ზოოტექნიკოსის ნაცვლად მხოლოდ 5 ზოოტექნიკოსი მუშაობს.

პლენუმმა მოითხოვა ბოლო მოეღოს უდარდელ დამოკიდებულებას ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შერჩევისა და განაწილების საქმისადმი. ოლქში არც ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე არ არის, რომელსაც ჰქონდეს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება. კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე ჯერ კიდევ ვხვდებით უუნარო, გულგრილ ადამიანებს. აგრონომმა ჯავის რაიონიდან ამხ. ზ. ჯიკაევმა და სხვა მოკამათეებმა მოითხოვეს, რომ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა სწორადგ გარდაქმნას ახალი ამოცანების შესაბამისად.

ორატორებმა მიუთითეს სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის არასახარბიელო მდგომარეობაზე. მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები ძველებურად აგრძელებენ მუშაობას, ისინი არ გვევლინებიან ახალი ამოცანების შესასრულებლად მასების ორგანიზატორების როლში. ბევრ კოლმეურნეობაში სუსტად არის დაყენებული საგბიტაციო-მასობრივი მუშაობა. რა ნაბიჯები გადადგეს პარტიულმა კომიტეტებმა სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად, რა ღონისძიებების განხორციელებას აპირებენ მომავალში? ამ დიდმნიშვნელოვან საკითხებს ნაკლები ყურადღება დაუთმეს პლენუმზე სიტყვით გამოსულმა პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებმა.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება, მიმართული იმ დიდი ამოცანების განხორციელებისაკენ, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება ოლქის წინაშე აყენებს.

ვ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჟუთაისი. საავტომობილო ქარხანაში. **სურათზე:** შასის საამქროს მოწინავე ხარატი ვაფა ხვანიძე, რომელიც საწარმოო გეგმებს ხისტემატურად 180 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

სემინარები ეკონომიკის საკითხებზე

რუსთავი. (საკ. კორ.). ამას წინათ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობას შეუდგა სოციალისტურ საწარმოთა ეკონომიკის შემსწავლელი ორწლიანი სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქარხნის დირექტორის მოადგილე მ. კოკარსკი. სემინარში გაერთიანებული ათობით ინჟინერი, ტექნიკოსი, ეკონომისტი და საწარმოთა ხელმძღვანელი სწავლობს წარმოების ეკონომიკის სხვადასხვა საკითხს, როგორიც არის საწარმოს ორგანიზაცია და მართვა, წარმოების დაგეგმვა, საწარმოს რენტაბელობა, პროდუქციის თვითღირებულება, შრომის ორგანიზაცია, ბუხჰალტრული ბალანსი და სხვ.

სემინარის მიზანია დაეხმაროს ქარხნის სპეციალისტებს საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

სამრეწველო საქონელი სოფელს

ყოველდღიურად უმჯობესდება სამრეწველო საქონლით სოფლის მოსახლეობის მომარაგება. მარტო ოქტომბერში ცეკავშირმა რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლის სამომხმარებლო ორგანიზაციებს გაუგზავნა 20 მილიონი მანეთის ბამბის ქსოვილები, ოთხ მილიონამდე მანეთის შალის ქსოვილები, 3 მილიონი მანეთის აბრეშუმის ქსოვილები, დიდი რაოდენობით თავშლები, ქაფი, მზა ტანსაცმელი, ტრიკოტაჟი, ქალისა და მამაკაცის წინდები, ფეხსაცმელი და სხვ. — სულ 59.270.000 მანეთის საქონელი.

დაუდევრობა თუ დანაშაული?

სასოფლო საბჭოს ან კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობა ფრიად საპატიო და პასუხსაგები სამუშაოა. მათ განსაკუთრებული დაკვირვება და სიფრთხილე მოეთხოვებათ ოფიციალური მოწმობების გაცემის დროს. სათანადო ბეჭედდასმული და თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი მოწმობა ან ცნობა სახელმწიფო დოკუმენტია. ამ დოკუმენტებში ყველაფერი ნათელი და გარკვეული უნდა იყოს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი იქცევა ყველა თავმჯდომარე. ზოგი დაუდევრად, უპასუხისმგებლოდ ეკიდება დოკუმენტის გაცემა-გაფორმებას, ხოლო ზოგჯერ ასეთი „დაუდეგრობის“ უკან გარკვეული დანაშაული იფარება. სწორედ ასეთ შემთხვევაზე გიამბობთ.

ჩვენს ხელთ არის წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის სასოფლო საბჭოს და ქუთაისის რაიონის სოფელ ქვიტირის 25 ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის მიერ იელისში გაცემული ოცზე მეტი მოწმობა. მათ ხელს აწერენ ფარცხანაყანევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შოვნაძე, სოფელ ქვიტირის 25 ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. სალაძე და მოანგარიშე გ. შალამბერიძე. მოწმობებს, რასაკვირველია, საათანადო ბეჭედი აზის, მაგრამ სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მოწმობებში არეულია რიცხვები და ნომერაცია, რაც საეჭვოს ხდის მოწმობის სინამდვილეს. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

ფარცხანაყანევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შოვნაძემ სათანადო ბეჭდის დასმით მისცა ცნობა მოქ. ევგენი გუბელაძეს, რომ მას ბაზარზე გასაყიდად მიაქვს თავისი საკუთარი პამიდორი. ცნობა გაცემულია 20 იელისს და აზის № 1264. მეორე დღეს — 21 ივლისს ამხ. ვ. შოვნაძემ ცნობა მისცა მოქ. ილია ნუცუბიძეს, რომ მას ბაზარზე გასაყიდად მიაქვს საკუთარი პამიდორი და კიტრი. ცნობებში, გარდა იმისა, რომ არ არის ნაჩვენები პროდუქტების რაოდენობა და ის, თუ სად მიაქვს ი. ნუცუბიძეს ეს პროდუქტები, გაკვირვებას იწვევს ნომერაცია: 20 ივლისს გაცემულია ცნობა № 1264, ხოლო 21 ივლისს — № 1731. ეს ნიშნავს, რომ ნომერაცია ქვევით მოდის. ასევე, ვ. შოვნაძემ 16 ივლისს მოქ. ნოდარ კვერნაძეს მისცა ცნობა № 904, ხოლო 20 ივლისს მოქ. გალინა ნიქაბაძეზე გაცემულია ცნობა № 885.

ამ მხრივ უფრო შორს მიდიან სოფელ ქვიტირის 25 ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე შ. სალაძე და მოანგარიშე გ. შალამბერიძე. მათ 15 ივლისს მოქ. ქეთო შალამბერიძეს მისცეს ცნობა № 475, რითაც მას უფლება ეძლეოდა „სხვადასხვა ბაზარზე გაეყიდა საკუთარი კიტრი, პამიდორი, წიწაკა და მწვანე ლობიო“.

მაგრამ 14 ივლისს ასეთივე ცნობა მისცეს მოქ. გივი თეოდორაძეს და ცნობის ნომერია 483. 14 ივლისს მოქ. კოლია შალამბერიძეს მისცეს ცნობა № 667. ორივე ცნობას წითელი ფანქრით ხელს აწერენ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე შ. სალაძე და მოანგარიშე გ. შალამბერიძე. მათი ანგარიშით გამოდის, რომ ერთ დღეში ნომერაციამ უკან დაიწია 200-ით.

იმავე 15 ივლისს მოქ. ნოდარ შალამბერიძეს რატომღაც მისცეს ერთნაირი შინაარსის ორი ცნობა № 474 და № 493, რითაც მას უფლება ეძლეოდა „სხვადასხვა ბაზარზე გაეყიდა საკუთარი კიტრი, პამიდორი, წიწაკა, მწვანე ლობიო“.

22 ივლისს მოქ. ინდიკო თეოდორაძეს მისცეს ცნობა № 530, ხოლო 25 ივლისს მოქ. ციალა ჭეიშვილის სახელზე გაეცემულია ცნობა № 519. როგორც ვნახეთ, ნომერაცია ყველა არეულია. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ერთეული როდია.

თაქტები გვარწმუნებენ, რომ ამ საქმეში მარტო დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა არ არის. აქ უფრო სერიოზული დანაშაულია. ზოგჯერ ასეთი „ცნობების“ გამცემნი ხელს უწყობენ სპეკულაციას და ამით თვითონაც ხელს ითბობენო.

ვფიქრობთ, სათანადო ორგანოები გაარკვევენ — რიცხვების ასეთ არევაში დაუდევრობაა თუ დანაშაული.

ჯ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

უკანასკნელი ფოსტიდან

ფოტოსურათი—გამოცანა

მაიაკოვსკის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ მკითხველება გაოცდნენ, როცა 7 ნოემბრის ნომრის მეორე გვერდზე მოთავსებული ფოტოსურათი ნახეს. როგორც სურათის წარწერა გვაუწყებს, რედაქციას განუზრახავს ეჩვენებინა სოფელ მაიაკოვსკის საერთო ხედი. მაგრამ ფოტოსურათსა და წარწერას შორის დიდი შეუსაბამობაა. ფოტოსურათზე ბუნდოვნად ჩანს გაშლილი ველი, რომელზეც ალაგ-ალაგ შემორჩენილა თოვლი. მასზე ვერც სახლს, ვერც ქუჩას, ვერც გზას ვერ ნახავთ.

მეტად ბუნდოვანი ფოტოსურათებია დაბეჭდილი გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ 7 ნოემბრის ნომერშიც. გაზეთის მესამე გვერდზე მოთავსებული ფოტოსურათის წარწერიდან შეიძლება მიხვდეთ, თუ რა იყო გამოსახული ამ ფოტოზე, როცა მისი დაბეჭდვა განუზრახავს რედაქციას. სურათზე უნდა იყოს მინდორში მომუშავე ტრაქტორი. უცქერი სურათს, და გაოცებული რჩები. გაზეთში მოჩანს დიდი შავი ლაქა, რომელიც ბურუსში გახვეული ძველი კოშკის ნანგრევებს უფრო ჰგავს, ვიდრე ტრაქტორს. მეტად ბუნდოვანია ამავე ნომრის მეორე გვერდზე დაბეჭდილი ფოტოსურათიც.

ასეთი ბუნდოვანი, არაფრისმთქმელი ფოტოსურათების დაბეჭდვით „საბჭოთა ოსეთმა“ და „წითელმა დროშამ“ მკითხველთა მხოლოდ გულისწყრომა გამოიწვიეს.

მოხდენილად გადაღებულ და ლამაზად დაბეჭდილ სურათს დიდი მნიშვნელობა აქვს გაზეთში. იგი ეხმარება მკითხველს ნათლად წარმოიდგინოს ქალაქის, რაიონის, სოფლის, კოლმეურნეობის ცხოვრება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, საბჭოთა ადამიანების შრომა. კარგი ფოტოსურათი აშშვენებს გაზეთს, უფრო შინაარსიანსა და მიმზიდველს ხდის მას. საჭიროა გაზეთში დასაბეჭდი თვითეული ფოტოსურათის სიყვარულითა და ვემოვნებით შერჩევა, მისი ყურადღებით დამზადება და ბეჭდვის დროს თვალყურის დევნება, რომ ფოტოსურათი ნათელი და გასაგები გამოვიდეს.

დიდი რუსი ხალხი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალაა

ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში ნებაყოფლობით გაერთიანებულია თექვსმეტი თავისუფალი და თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკა. რესპუბლიკათა ამ ძმურ კავშირს, რომელიც აგრეთვე ხალხთა ერთიან ოჯახად იწოდება, განამტკიცებს ხალხთა ურღვევი მეგობრობა. ეს მეგობრობა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია და იგი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

ძმურ საბჭოთა ოჯახში შემავალი სოციალისტური ერები გამსჭვალული არიან ერთმანეთის გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით, რაც, ცხადია, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მათი საერთო მიზნებითა და ამოცანებით არის გაპირობებული. საბჭოთა ხალხი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მოპოვება, გარეშე და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებული შემოტევისაგან მისი დაცვა და განმტკიცება, ექსპლოატატორული კლასების საბოლოოდ მოსპობა და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის ძალღონის გაერთიანებისა და დაძაბვის შედეგად. ეს დიადი პრაქტიკა საბჭოთა ხალხს უკარნახებს კვლავაც ხელიხელჩაკიდებულმა იაროს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე და ერთიანი ძალღონით დაძლიოს ყოველგვარი სიძნელე.

საბჭოთა კავშირის ერებში ურთიერთისადმი ძმობის, სიყვარულის, დახმარებისა და პატივისცემის კეთილშობილურ ტრადიციასთან ერთად განმტკიცებულია ერთი ძვირფასი ჩვეულება: თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკათა რიგში მუდამ პირველი იხსენიება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (რსფსრ), რომელიც სიდიდითაც და მნიშვნელობითაც პირველია სოციალისტურ სამშობლოში, ხოლო დიდი რუსი ხალხი აღიარებულია ოჯახის უფროს ძმად, საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელ ძალად, სოციალისტური ერებისა და მსოფლიოს მშრომელთა ინტერესების ყველაზე საიმედო დამცველად.

რუსეთის მშრომელებმა პირველებმა აღმართეს ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. რუსეთი ლენინიზმის სამშობლოდ იქცა. რუსეთის პროლეტარიატმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეძლო ცარიზმის მიერ ჩაგრულ ხალხთა ძალების შემჭიდროება, ექსპლოატატორული კლასების ბატონობის დამხობა და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება. რუსმა ხალხმა თავის ზურგზე გადაიტანა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის მთავარი სიმძიმე და არა მარტო სახელოვნად დაიცვა სოციალისტური სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ღირსება, არამედ უდიდესი დახმარება აღმოუჩინა და თავისუფალი ცხოვრების გზა გაუხსნა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ხალხებს. რუსი ხალხი მტკიცედ დგას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი პროგრესული კაცობრიობის სათავეში.

1945 წლის 24 მაისს ამხანაგმა სტალინმა კრემლში წითელი არმიის ჯარების სარდალთა მიღებაზე რუსი ხალხის შესახებ თქვა, რომ რუსი ხალხი არის ყველაზე უფრო გამოჩენილი ერი ყველა ერთა შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიან, რომ დიდ სამამულო ომში მან დაიმსახურა საყოველთაო აღიარება, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალისა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის, რომ იგი ხელმძღვანელი ხალხია, აქვს ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინება.

* * *

შემთხვევითი როდია, რომ სწორედ რუს ხალხს ხვდა წილად გამხდარიყო კაცობრიობის ისტორიის მესაჭე, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალა და მსოფლიო ცივილიზაციისა და პროგრესის მედროშე. რუსეთის მრავალსაუკუნოვანი მღელვარე ისტორია ნათელყოფს მისი ხალხის ამ საპატიო როლის კანონზომიერებას.

ჯერ კიდევ VII-IX საუკუნეებში რუსმა ხალხმა აღმოსავლეთ ევროპაში შექმნა უძლიერესი ფეოდალური გაერთიანება — კიევის სახელმწიფო, რომელიც ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე იყო გადაჭიმული. კიევის სახელმწიფომ სახელოვანი კვალი დატოვა რუსეთის ისტორიაში. იგი ველიკორუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ისტორიული აკვანი გახდა. აქ ყვაოდა მაღალი თვითმყოფი კულტურა. აქვე გაიფურჩქნა რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის კეთილშობილური პატრიოტული იდეა, რომელიც შემდეგაც, კიევის სახელმწიფოს დაშლისა და ფეოდალური სამთავროების შინაშლილობის პირობებშიც, რუს ხალხსა და მის გამოჩენილ მხედართმთავრებს აღაფრთოვანებდა გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსმა ხალხმა თავის თავზე იწვნია მონღოლთა უთვალავი ურდოების, გერმანელი ქოფაკი რაინდების თარეში, პოლონელი პანების, შვედი კოლონიზატორების, ნაპოლეონის „დიდი არმიის“ შემოსევანი, მაგრამ დამპყრობლებს იგი არასოდეს მორჩილად არ შეხვედრია და ნევის, ჩუდის ტბის, კულიკოვოს, პოლტავის, ბოროდინოს ბრძოლებში აჩვენა გაუგონარი გამძლეობა და სიმამაცე. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში რუსმა ხალხმა შეიმუშავა თავისი ნაციონალური სამხედრო ხელოვნება, წარმოშვა დიდი მხედართმთავრები, რომლებმაც არაერთგზის მოუპოვეს უჭკნობი სახელი და დიდება რუსულ იარაღს. საბჭოთა სამხედრო ხელოვნებამ ყველაფერი ის, რაც საუკეთესო იყო რევოლუციამდელი რუსეთის არმიის სამხედრო წყობისა და აღზრდის სუვოროვისებურ და კუტუზოვისებურ სისტემაში, მემკვიდრეობით მიიღო და შეისისხლხორცა, განავითარა და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა.

გარეშე მტრების წინააღმდეგ განუწყვეტელ შეუპოვარ ბრძოლებში რუსი ხალხი ივითარებდა პატრიოტიზმის, მამაცობის, თავდადების ძვირფას ჩვევებს. ამავე დროს ახერხებდა შეექმნა თავისი ეროვნული კულტურა. გაბატონებული კლასების მხრივ არაადამიანური ჩაგვრისა და შევიწროების მიუხედავად, რუსი ხალხის შემოქმედებითს წიაღში ყოველთვის ცოცხლობდა და ითურჩქნებოდა ახალი აზრები, ხალხის უშრეტი სიბრძნე კვებავდა და ზრდიდა ასობით და ათასობით რუს ადამიანს, რომელთაც წყვდიადის სამეფოში ხელთ ეჭირათ ცივილიზაციის უქრობი ლამპარი.

რუსულმა კულტურამ, რომელმაც თავისი გოლიათური მხრები მთელი შესაძლებლობით გაშალა XIX საუკუნეში, ფასდაუდებელი ღვაწლი შეიტანა საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძურში. ამ მხრივ მსოფლიო განსაკუთრებით დავალებულია რუსული ლიტერატურისაგან, რომელშიც ყველაზე ნათლად აღიბეჭდა რუსული ბუნების მრავალმხრივობა, ხალხის ფილოსოფიური სიბრძნე და სულიერი მისწრაფებანი.

რუსული ლიტერატურის დროშაზე ყოველთვის იყო წარწერილი ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის კეთილშობილური იდეები. რუსი მწერალი ბატონყმური საშინელებისა და კაპიტალისტური სიმახინჯის წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე ხაზზე იდგა და მისი სიტყვა მოწოდებად ქუხდა, როგორც „ვეჩეს“ ზარი. რუსული ლიტერატურა ყოველთვის ხელს უწყობდა პროგრესს, ახლის ძველზე გამარჯვებას, ხალხის გათვითცნობიერებას და თავისუფლებისათვის ბრძოლაში დარაზმვას. ამიტომ იყო, რომ რუსულმა ლიტერატურამ უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების, არამედ ყველა სლავური ქვეყნის და მთელი ევროპის ლიტერატურაზე. „ა. პუშკინი იმ უკვდავთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა პირველი წარმომადგენელი ჰომეროსი იყო და რომელთა შორისაც ევროპაში მხოლოდ დანტეს, შექსპირის, კალდერონისა და გოეთეს სახელი იხსენიება“ — წერდა გიუნთერი 1923 წელს. ნ. გოგოლმა „ყველა ცივილიზებულ ქვეყანას მოჰფინა რუსული გენიის შუქი“, — ამბობდა ცნობილი ფრანგი მეცნიერი ვოგიუე 1909 წელს.

დიდმა ლენინმა ლევ ტოლსტოის უწოდა წინგადადგმული ნაბიჯი მთელი მსოფლიოს მხატვრულ განვითარებაში. რუსული მხატვრული სიტყვის ტიტანები იყვნენ ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი და ჩეხოვი, გორკი და მაიაკოვსკი, რომელთა ჭეშმარიტად გასაოცარ ქმნილებებში აისახა არა მარტო რუსული ცხოვრების ყველა მხარე და რუსი ხალხის რევოლუციური გაქანება, არამედ მსოფლიოს ხალხთა კეთილშობილური მისწრაფებანი.

არა მარტო რუსული ლიტერატურა, არამედ რუსული ფილოსოფია ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლების სახით, როგორიც იყვნენ ლომონოსოვი და რადიშჩევი, გერცენი და ბელინსკი, დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი, რუსული მეცნიერება ლებედევის, ლობაჩევსკის, კოვალევსკის, ლოდიგინის, სეჩენოვის, მენდელეევის, ტიმირიაზევის და სხვათა სახით, რუსული მუსიკა გლინკას, ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, რიმსკი-კორსაკოვის და სხვათა სახით, რუსული მხატვრობა სურიკოვის, ვერეშჩაგინის, ლევიტანის, რეპინის და სხვათა სახით და ხელოვნების ყველა დარგი საკაცობრიო კულტურის საგანძურში შევიდა როგორც აზრის უდიდესი მონაპოვარი, პროგრესის უშრეტი ძალა და სილამაზის განუმეორებელი ნიმუშები.

* * *

რუს ხალხს და რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებს საუკუნეთა მანძილზე სტანჯავდა ცარიზმის უღელი. ცარიზმი წარმოადგენდა ხალხთა საპყრობილეს. რუსეთის მეფე და მისი ხროვა, რომელთა მორალი ნიშსტა და მათრახზე იყო დაფუძნებული, განგებ თესავდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა შორის შუღლსა და მტრობას, განაპირა მხარეებში ნერგავდა სიბნელესა და უმეცრებას, რუსეთის საუკეთესო შვილებს სახრჩობელაზე ან ციმბირში გზავნიდა. მაგრამ ველიკოროსი ხალხი მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით იყო გამსჭვალული არარუს ჩაგრულ თანამოძმეებისადმი და მათს საუკეთესო შვილებს რაზმავდა საერთო მტრის — ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუს ხალხს აქვს თავისუფლებისათვის ბრძოლის შესანიშნავი ტრადიცია. ხალხის შეურიგებლობამ ჩაგვრისა და მონობისადმი ყველაზე ნათელი დადასტურება ჰპოვა გლეხთა ისეთი დიდი მასშტაბის ომებში, როგორიც იყო ბოლოტნიკოვის, რაზინის, ბულავინის, პუგაჩოვის აჯანყებანი, ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან მუშათა კლასისა და შრომელი გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას სათავეში უდგება ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია. ეს მოძრაობა 1917 წელს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინდა. რევოლუციური მოძრაობის პირველი ეტაპის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები რუსეთში იყვნენ დეკაბრისტები და გერცენი, რომლებმაც თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში გასაოცარი თაოსნობა და მამაცობა გამოიჩინეს. განმათავისუფლებელი მოძრაობის მომდევნო ეტაპზე გამოჩნდნენ მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები — ბელინსკი და ჩერნიშევსკი, ნეკრასოვი და დობროლიუბოვი, რომლებმაც აღმართეს ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, გააფართოეს, განამტკიცეს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგები.

შემდეგი ეტაპი — ეს იყო პერიოდი, როცა მთელი სიძლიერით აღსდგა ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი, რომელმაც დარაზმა რუსეთის მშრომელი გლეხობა და თავისკენ ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გასწია წინ, ლენინიზმის უძლეველი დროშით.

შემთხვევითი როდია, რომ ლენინიზმის სამშობლო სწორედ რუსეთი გახდა. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებამ და რუსი ხალხის მაღალმა კულტურამ ლენინიზმისათვის მტკიცე ნიადაგი მოამზადა. ლენინიზმმა, შეითვისა რა რუსული და მსოფლიო კულტურის საუკეთესო ტრადიციები და მიღწევები, შემოქმედებითად განავითარა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება მეცნიერული სოციალიზმის შესახებ, აიყვანა იგი ახალ საფეხურზე — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მოთხოვნათა დონეზე და არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ჩაგრულ კლასებს იმპერიალისტური და კოლონიური მონობისაგან თავის დაღწევის, კომუნიზმის მშენებლობის მძლავრი იდეური იარაღი მისცა.

ლენინმა ტიტანური ბრძოლის შედეგად შექმნა რუსეთში მუშათა კლასის

გავაუმჯობესოთ სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მფლობელთა მომსახურება

30 ნოემბერს ქუთაისში შედგება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი 36-ე ტირაჟი, სადაც ამ სესხის ობლიგაციებით შეიძლება 400-დან 50.000 მანეთამდე თანხის მოგება. სულ ტირაჟში გათამაშდება 42.500 მოგება 23.251.000 მანეთის საერთო თანხისა.

ჩვენი სახელმწიფო სესხები ნამდვილი სახალხო სესხებია. სახელმწიფო მათი საშუალებით მშრომელთა ფართო მასების დანაზოგს იზიდავს სოციალისტური მშენებლობის დასაფინანსებლად. საბჭოთა კავშირში სახელმწიფო სესხები ხელს უწყობენ საწარმოო ძალთა განვითარებას, საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას, ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებას. სახელმწიფო სესხების უდიდესი წარმატება მოწმობს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების უსაზღვრო ნდობას საბჭოთა სახელმწიფოსადმი, მათს უდიდეს დაინტერესებას სოციალისტური მშენებლობის მიღწევებით, უსაზღვრო ერთგულებას სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის სახალხო დანაზოგის ზრდისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო სესხები სახელმწიფო ინტერესებისა და მოსახლეობის პირადი ინტერესების შეხამების მკაფიო მაგალითია. დიდ დახმარებას უწევენ რა ჩვენს ქვეყანას სოციალისტური მშენებლობის დაფინანსების საქმეში, სესხები, ამასთან ერთად, მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევენ მოსახლეობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ სესხთა მფლობელებმა მოგებათა სახით 1951 წელს მიიღეს 5 მილიარდამდე მანეთი, 1952 წელს — 7 მილიარდამდე მანეთი, ხოლო 1953 წლის მიუჯვეტით ათეულობენებულია 10 მილიარდამდე მანეთის მოგებათა გაცემა. მიმდინარე წლის მარტოოდენ 10 თვის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა 155.744.000 მანეთი მოგება მიიღეს.

მოგებათა ტირაჟი ქუთაისში გაიმართება საჯაროდ, მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში, რომელიც ათასამდე მაყურებელს იტევს. დასწრება თავისუფალი იქნება.

ტირაჟის დამსწრეთ შეუძლიათ იქვე მიიღონ მოგება, მისი ოდენობის მიუხედავად, 50.000 მანეთიანი მოგების ჩათვლით. ამასთვის თეატრში, სადაც ტირაჟი მოეწყობა, იმუშავებს გამსვლელი შემნახველი სალარო. იგი გასცემს ყველა სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მოგებას, რომელიც მათ ხედათ როგორც ამ, ისე წარსული წლების ტირაჟებში.

სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებს, რომელთა მორიგი ტირაჟი გაიმართება ქუთაისში 30 ნოემბერს, ავრცელებენ შემნახველი სალაროები ობლიგაციების ნაღდზე გაყიდვით. ამ სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხი გამოშვებულ იქნა 1947 წლის დეკემბერში თავდაპირველად ერთ თანრიგად, ერთი მილიარდი მანეთის თანხისა. მოსახლეობის დიდმა მოთხოვნილებამ ამ სესხის ობლიგაციებზე გამოიწვია სესხის დამატებითი თანრიგების შემდგომი გამოშვების აუცილებლობა. ამჟამად ამ სესხს აქვს ხუთი თანრიგი 5 მილიარდი მანეთის თანხისა.

მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში საქართველოს სსრ რესპუბლიკის შემნახველმა სალაროებმა მოსახლეობას მიჰყიდეს ამ სესხის 40 მილიონ მანეთზე მეტი თანხის ობლიგაციები. მარტო ოქტომბერში 3%-იანი სესხის ობლიგაციები გაიყიდა ქ. ქუთაისში 191.000 მანეთისა, მახარაძის რაიონში — 139.000 მანეთის, სამტრედიის რაიონში — 43.000 მანეთის, ახალქალაქის რაიონში — 35.000 მანეთისა და ა. შ. განსაკუთრებით გაიზარდა ამ სესხის ობლიგაციებზე მოთხოვნილება ბოლო დღეებში.

ტირაჟების მოწყობას დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა. დამკვიდრებული ტრადიციით, ყოველი ტირაჟის ჩატარება ანაბრების მოზიდვაზე მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერებას ხასიათს იღებს იმ რესპუბლიკაში ან ოლქში, რომლის ტერიტორიაზეც ტირაჟი იმართება.

შემნახველმა სალაროებმა და სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობმა კომისიებმა უნდა გაიჩაღონ შეჯიბრება სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელთა მომსახურების საუკეთესოდ მოწყობისათვის.

შ. რამიშვილი,
საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს უფროსი.

წალენჯიხის რაიკოოპერატივის გამგეობამ მაღაზიების ახალი ტიპური შენობები ააგო სოფელ მოქავაში, ნაიფუში, საჩინოსა და ორჯონიკიძეში. დიდი უურადღება ექცევა მაღაზიების კეთილმოწყობას, ვიტრინების გაფორმებას. სპეციალურად მოწვეულმა საქონელმცოდნე-დეკორატორმა ი. ფერშანგიშვილმა მხატვრულად მოაწყო რაიონული ცენტრისა და მთელი რიგი სოფლების მაღაზიები. სურათზე: წალენჯიხის კულტსაქონლის მაღაზია, წიგნის სექცია.

★

უნივერსიტეტის სამეცნიერო გიბლიოთეკა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა წარმოადგენს სამეცნიერო და სასწავლო-დამხმარე დაწესებულებას, რომელიც მომსახურებას უწევს პროფესორ-მასწავლებლებს, ასპირანტებსა და სტუდენტებს.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი საფაკულტეტო და კაბინეტების ბიბლიოთეკების ჩათვლით შეადგენს 1.153.127 ტომს. მათ შორის საფაკულტეტო და კაბინეტების ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი უდრის 164.181 ერთეულს. 1945 წელთან შედარებით წიგნის ფონდი გაიზარდა 536.250 ერთეულით, ანუ 86,9 პროცენტით. აქ მოიპოვება ცოდნის ყველა დარგის: მხატვრული, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ტექნიკური, პუბლიცისტური და სხვა ლიტერატურა. განსაკუთრებით სრულად წარმოდგენილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა მდიდარია უცხოური ლიტერატურითაც. აქ ნახავთ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს მიღებულს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ბიბლიოთეკაში ინახება ბევრი უნიკალური გამოცემა.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან და მრავალი ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებთან, რომელთაც გაუცვლის წესით უგზავნის უნივერსიტეტის შრომებს, მათგან კი იღებს სხვადასხვა სადამომცემლო ორგანიზაციების მიერ გამოცემულ წიგნებს.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას აქვს ვრცელი, ნათელი და კარგად მოწყობილი ხუთი სამკითხველო დარბაზი. აქედან ორი დარბაზი მომსახურებას უწევს პროფესორ-მასწავლებლებსა და ასპირანტებს, ხოლო სამი დარბაზი — სტუდენტებს. მათ შეუძლიათ დილის 9 საათიდან ღამის 11 საათამდე ისარგებლონ სამკითხველო დარბაზებით.

წიგნის ფონდის ზრდა, მისი მრავალსახეობის, სამკითხველო დარბაზების გაზრდა-გაფართოება სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაობის მხოლოდ ერთი მხარეა, მეორე და მთავარი მხარეა მკითხველთა მომსახურება — მათი ჩაბმა ბიბლიოთეკაში და დროულად უზრუნველყოფა საჭირო ლიტერატურით.

1952 წელს მომსახურება გაეწია 567.712 კაცს და მათზე გაიცა 1.048.575 ცალი წიგნი. თუ 1952 წლის მკითხველთა რაოდენობას და წიგნის გაცემას შევადარებთ 1945 წლის მკითხველთა რაოდენობასა და წიგნის გაცემას, დავინახავთ, რომ მკითხველთა რიცხვი გაიზარდა 397 პროცენტით და წიგნების გაცემა — 368 პროცენტით.

სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, კონსულტაციები, გამოფენები. ტარდება კონსულტაციები ასპირანტებთან და სტუდენტებთან ბიბლიოგრაფიული ცნობარების გამოყენების შესახებ. საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება სისტემატიურად აწვდის მკითხველთა წერილობითს ცნობებს, ბიბლიოგრაფიულ საძიებელს, თემატურ კარტოთეკებსა და ახალი წიგნების ბიულეტენებს.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას ხელმძღვანელობს გამოცდილი ბიბლიოგრაფი ვშბ. ა. კასრაძე, რომელიც 29 წელია დიდი მონდომებით და სიყვარულით ასრულებს ამ ფრიად პასუხსაგებ საქმეს.

ასევე დიდი ხნის მანძილზე გულისხმიერად მუშაობენ ამხანაგები: რ. აფხაიძე, თ. მიქაბერიძე, მ. გამხარაშვილი, ა. ეგოროვა, გ. აბაშიძე, ო. პურადაშვილი, ნ. ტარსაიძე, ე. დარჩიაშვილი და სხვ.

უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა წიგნის ფონდის დაკომპლექტების საქმე. დაკომპლექტების, დამუშავებისა და კლასიფიკაციის განყოფილებების შეთანხმებული მუშაობის შედეგად დროულად ხდება მიღებული ახალი ლიტერატურის დამუშავება, რაც შესაძლებლობას აძლევს მკითხველს გამოიკმისთანავე გაეცნონ ახალ წიგნებს სამეცნიერო ბიბლიოთეკის საშუალებით.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა აწარმოებს მეთოდურ მუშაობას როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან, ისე ფაკულტეტების კაბინეტების ბიბლიოთეკებში მომუშავე ლაბორანტთა შორის. მიმდინარე წლის ივნისში უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სამეცნიერო პრაქტიკა გიარა ისტორიის ფაკულტეტის 43 სტუდენტმა. საწარმოო პრაქტიკის დროს ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობას ატარებდნენ სამეცნიერო ბიბლიოთეკის კვალიფიციური თანამშრომლები.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის ზრდასთან ერთად იზრდება მკითხველთა ინტერესი და მოთხოვნილება. ითვალისწინებს რა მკითხველთა ამ გაზრდილ მოთხოვნილებას, სამეცნიერო ბიბლიოთეკა ცდილობს კიდევ უფრო გაუმჯობესოს მკითხველთა მომსახურება.

გ. ხუციურაული,
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე.

სესხი კოლმეურნეობებს

საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა წელს სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი სესხის სახით 577.800 მანეთი მიიღეს. აქედან მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ჩაის პლანტაციების გასაშენებლად მიეცა 300 ათასი მანეთი, ფარცხანაყანევის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობას პირუტყვის სადგომის მშენებლობისათვის — 33.000 მანეთი, წყალტუბოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას საჭიე ბინის მშენებლობისათვის — 33.200 მანეთი.

77.500 მანეთი გრძელვადიანი კრედიტი მიიღო თუთის ხის პლანტაციების გასაშენებლად მუხიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ.

რაიონული გაზეთებიდან

ჩვენი საბჭოთა ფერმერები

შემძლებული ცხოვრების წყარო

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დამშვენდა და გაიფურჩქნა სოფელი ბესლეთი. აქ ახლა ორი მსხვილი კოლმეურნეობაა. ყოველწლიურად იზრდება მათი დოვლათი და კოლმეურნეთა შემოსავალი. საკოლმეურნეო გლეხობის ცხოვრება სულ უფრო საამური ხდება.

ბესლეთის ორივე კოლმეურნეობას კარგად განვითარებული მრავალდარგობრივი მეურნეობა აქვს. მათ დიდ შემოსავალს აძლევენ სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიც არის მეთამბაქოობა, მეციტრუსეობა, მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა და სხვ. წელს კოლმეურნეებმა გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს, ბოსტნეულისა და სიმინდის მოსავლიანობის გეგმები. შესრულებულია მეცხოველეობის განვითარების დავალებაც.

საბჭოთა წყობილებამ კოლმეურნე გლეხობას გაუხსნა ფართო გზა მეცნიერებისაკენ. ამჟამად ჩვენს სოფელში ერთი საშუალო, ერთი რვაწლიანი და ერთი დაწყებითი სკოლაა, რომლებშიც 450-ზე მეტი მოსწავლე ირიცხება. კოლმეურნეთა ბავშვების აღზრდას ემსახურება 31 მასწავლებელი.

სოფელში მუშაობს ერთი ექიმი და ორი ექიმის თანაშემწე. კოლმეურნეებს უხვი მოხავლის მოყვანაში ეხმარება სოფლის მეურნეობის ხუთი სპეციალისტი. დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა სოფლის მოსახლეობაში ბესლეთის სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რომელსაც მრავალად მოეპოვება სასოფლო-სამეურნეო, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა.

კოლმეურნეთა სახლებში გაყვანილია ელექტროგანათება, მათი უმრავლესობა რადიოფიცირებულია. კეთილმოწყობილი და განათებულია სასოფლო გზები. გასულ წელს მდინარე ბესლეთზე აშენდა კაპიტალური ხიდი. საშუალო სკოლაში გაყვანილ იქნა წყალსადენი.

შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ ჩვენი კოლმეურნეები. უკანასკნელი წლების მანძილზე შვიდმა კოლმეურნემ შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა, მრავალ ოჯახს აქვს რადიომიმღები, პატეფონი, ძვირფასი ავეჯი.

ჩვენს კოლმეურნეებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში ეხმარებიან ბესლეთის საშუ მასალათა ქარხანა, ბესლეთიეთი, რესპუბლიკური ზოოვეტპუნქტი, საბჭოთა მეურნეობა „სანერგე“ და სხვ.

თავიანთ ბედნიერ ცხოვრებას ბესლეთელები უმადლიან კომუნისტურ პარტიას, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას.

ლ. კალანდია,
ბესლეთის მშრომელთა დეპუტატების საოსფოლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
(„სტალინელი“ — სუხუმი).

მეგობროგის გზით

მრავალჯერ შევხვედრივარ უკრაინაში მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეთა წარმომადგენლებს, მომისმენია მათი მართალი სტუკვა მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრების ცხოველმყოფელ ძალაზე.

ხშირად ვნატრობდი საკუთარი თვალით მენახა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები. წადილი მალე ამისრულდა. 1946 წელს არა მარტო დავთვალიერე სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მრავალფეროვანი მეურნეობა, არამედ გადავწყვიტე გავმხდარიყავი ამ კოლმეურნეობის წევრი, მემუშავა ქართველი კოლმეურნეების გვერდით.

მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო. ახლა მე და ჩემი ცოლი ნადია ციტრუსების სანერგეში ვმუშაობთ. ჩემი უფროსი შვილი — მესამეკლასელი ვერა პიონერია, პატარა როზა კი ბავშვთა საკოლმეურნეო ბაგაში დაგვყავს.

კოლმეურნეობაში მუყაითი შრომით მოკლე ხნის მანძილზე ავაშენეთ ორსართულიანი სახლი. არ შეიძლება არ აღვნიშნო ის დახმარება, რაც ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გამიწიეს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და კოლმეურნეობაში ენერგიული მუშაობისათვის.

ჩემს ოჯახს წელს გამომუშავებული აქვს შვიდას შრომადღეზე მეტი. ავანსის სახით მივიღეთ 14.000 მანეთამდე და დიდძალი მარცვლეული.

დიდად შემიყვარდა მეციტრუსეობა. მან გაწეული შრომის უხვად ანაზღაურება იცის. კოლმეურნეობაში მუშაობით, აგრეთვე აგროტექნიკურ წრეში მეცადინეობით დაეუფლე ციტრუსოვანთა მოვლა-პატრონობის წესებს, მოხავლიანობის გადიდების ოსტატობას.

მეციტრუსე ბ. ჯ. იაკიმენკო.
(„ლენინის დროშა“ — მახარაძე).

ახალი სახლები

წლითიწლობით ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება სოფელი ახაშენი. ახლა სოფელს აქვს რვაწლიანი სკოლა, სახოფლო კლუბი, საექიმო პუნქტი, კეთილმოწყობილი საბავშო მაღაზია. სოფლის ყველა უბანში გაყვანილია ელექტროსინათლე, რადიოხაზი.

ახაშენელი კოლმეურნეები ახლა კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობენ. გასულ წელს ახაშენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის 15-მდე წევრმა ქვის ლამაზი სახლი აიშენა. წელს კი ახალი სახლების მშენებლობა დაიწყო 80-ზე მეტმა ოჯახმა, რომელთაგან 30-ზე მეტმა უკვე დაამთავრა და საცხოვრებლად გადავიდა ახალ ორსართულიან შენობაში.

მოწინავე კოლმეურნემ გიორგი ნონიაშვილმა მოკლე ხანში დაამთავრა ორსართულიანი სახლის მშენებლობა. ოთხოთახიანი ახალი სახლი ნონიაშვილმა მოაწყო ძვირფასი საოჯახო ნივთებით, გაიყვანა ელექტროსინათლე, დადგა რადიომიმღები. ახალი ოთახების კედლები დაამშვენა გენიალური ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტებით, მხატვრული სურათებით.

ოთხოთახიანი სახლების მშენებლობა დაამთავრეს და ახალ ბინაში შესახლდნენ აგრეთვე მოწინავე კოლმეურნეები თედო ნაოხაშვილი, სიმონ ხელაშვილი და სხვ. ერთნაირი ტიპის ორ-ორსართულიან სახლებს აშენებენ ძმები გოგია, ალიდონა და კახელო რუხაძეები, რომლებიც სულ მოკლე ხანში გადავლენ ფართო, ლამაზ ბინებში საცხოვრებლად.

საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებებმა წელში გამართა ძველად ჩაგრული ახაშენელი გლეხკაცობა. ახლა მათს ოჯახებში დამკვიდრდა კულტურული და ბედნიერი ცხოვრება, რაც მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელმა ზრუნვამ არგუნა საბჭოთა ადამიანებს.

ი. ივანიშვილი.
(„საკოლმეურნეო შრომა“ — გურჯაანი).

ქართველი კომპოზიტორების ახალ ნაწარმოებთა გამოცემა

საქართველოს სსრ მუსიკალური ფონდის განყოფილებამ გამოსცა ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებები.

გამოცემულია შ. აზმაიფარაშვილის „ლირიკული პოემა“ ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, შ. მშველიძის „სიმღერა დაღუპულ გმირზე“, ა. შავერზაშვილის სიმღერები „ისე რატომ მოგიწყენია“, „ჩემი სიხარული“, ო. თაქაიშვილის 5 პიესა ფორტეპიანოსათვის, გ. კოკელაძის „მოდი ჩემთან რუსთაველში“, დ. არაყიშვილის — „ფანდური“, ნ. გუდაშვილის ოთხი პრელუდია ფორტეპიანოსათვის და სხვ.

გამოსაცემად გამზადებულია და წლის ბოლომდე გამოვა ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების კიდევ 62 მუსიკალური ნაწარმოები.

მებრძოლი მარქსისტული პარტია, ახალი ტიპის პარტია, რომელსაც ისტორიამ დაუსახა რუსეთში ცარიზმისა და იმპერიალიზმის დამხობის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ამოცანა. კომუნისტურმა პარტიამ ამ დიდი ამოცანის განხორციელებისათვის დარაზმა რუსეთის პროლეტარიატი, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული მასები და გოლიათური ძალით შეუტია ცარიზმის ბურჯებს. სულ რაღაც თორმეტი წლის განმავლობაში რუსეთისა და მის გარშემო დარაზმული არარუსი ხალხების პროლეტარიატმა გლეხობასთან კავშირში განახორციელა სამი რევოლუცია — 1905-1907 წლის რევოლუცია, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელთაგან პირველი წარმოადგენდა დიადი შეტევის გენერალურ რეპეტიციას, მეორემ დაამხო ცარიზმი, ხოლო მესამემ, საბოლოოდ მოსპო კაპიტალისტების, მემამულეების, იმპერიალისტების ხელისუფლება, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, და ამით იხსნა ჩვენი ქვეყანა ეროვნული კატასტროფისაგან, გაათავისუფლა იგი მსოფლიო იმპერიალიზმზე დამოკიდებული ნახევრადკოლონიური ქვეყნის მდგომარეობისაგან და საბჭოთა ხალხი გამოიყვანა კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული სოციალისტური გარდაქმნების ფართო გზაზე.

* * *

რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს, რომლებსაც ოქტომბრის რევოლუციამ თავისუფლება მიანიჭა და სოციალისტური გარდაქმნების გზები გაუკაფა, რუსეთის მუშათა კლასმა გაუწია უდიდესი დახმარება საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და ეროვნული აღორძინებისათვის ბრძოლაში.

სამოქალაქო ომის წლებში, როცა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ აღდგა შინაური და გარეშე კონტრრევოლუცია, რუსეთის მუშათა კლასმა გმირულად დაიცვა ოქტომბრის მონაპოვარნი. რუსეთის პროლეტარიატი ეხმარებოდა განაპირა მხარეთა მშრომელებს ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთის მუშათა კლასი და მისი გმირი წითელი არმია დაეხმარნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის მშრომელებს ინტერვენტებისა და მენშევიკურ-მუსავატისტურ-დაშნაკური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლასა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. რუსი ხალხის პოლიტიკური, სამხედრო და ორგანიზაციული დახმარება რომ არა, უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიის, ამიერკავკასიის მშრომელები იმპერიალისტური კაბალისა და ნაციონალური გადაგვარებისათვის იყვნენ განწირულნი.

ცარიზმის საუკუნოვანი ბატონობის შედეგად რუსეთის იმპერიაში შემავალი მრავალი ხალხის სამეურნეო და კულტურული დონე მეტად დაბალი იყო. მთელ რიგ ხალხებს საკუთარი დამწერლობა და სკოლაც კი არ ჰქონდათ. სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ტემპები მოითხოვდა ამ ხალხებში ფეოდალურ-პატრიარქალური გადმონაშთების უსწრაფეს მოსპობას, ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენის ლიკვიდაციას. ამიტომ იყო, რომ კომუნისტურმა პარტიამ სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე რუს ხალხს მისცა არარუსი ხალხებისადმი დახმარების გრანდიოზული პროგრამა. ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის X ყრილობამ რუსეთის პროლეტარიატს ამოცანად დაუსახა დახმარებოდა არაველიკოროს მშრომელ მასებს, რათა:

„ა) განავითარონ და განამტკიცონ თავის ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იმ ფორმებით, რომლებიც ამ ხალხების ნაციონალურ სახეს შეესაბამებიან;

ბ) შექმნან თავის ქვეყანაში დედაენაზე მოქმედი სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ხელისუფლების ორგანოები, შედგენილნი ადგილობრივი ადამიანებისაგან, რომელთაც იციან ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრება და ფსიქოლოგია;

გ) განავითარონ თავის ქვეყანაში პრესა, სკოლა, თეატრი, საკლუბო საქმე და საზოგადოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი დედაენაზე“.

არარუსი ხალხებისადმი რუსი ხალხის დახმარების წარმატებით განხორციელების, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცების, სოციალისტური მშენებლობის ურთულესი ამოცანების გადაწყვეტის, ოქტომბრის მონაპოვრის დაცვის დიად საქმეებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1922 წელს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნას. ერთიან სოციალისტურ ოჯახში შემავალი საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით შეუპოვრად შეუდგნენ სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების უსწრაფეს ვადებში განხორციელებას.

ლენინურ — სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მოპოვებულ იქნა ისტორიისათვის აქამდე გაუგონარი წარმატებანი: საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასები, სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, აშენდა ახალი საზოგადოებრივი წყობილება — სოციალიზმი. ჩამოყალიბდნენ ახალი, სოციალისტური ერები. მოისპო უმუშევრობა და სიღატაკე. შეძლებული, კულტურული და საამური ცხოვრება დამკვიდრდა ქალაქებსა და სოფლებში, დაძლეულ იქნა წინათ ჩაგრული ხალხების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, განხორციელებულ იქნა ნამდვილი კულტურული რევოლუცია. სოციალიზმის გამარჯვების ბაზაზე განვითარდნენ და განმტკიცდნენ ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

ამ დიად გარდაქმნათა და გამარჯვებათა გზაზე რუსი ხალხი მთავარ ორგანიზატორს, ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას წარმოადგენდა. იგი ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა და უწევს სოციალისტურ ოჯახში შემავალ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას. მაგალითისათვის ავიღოთ ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკები. ოქტომბრის რევოლუციამდე ეს ქვეყნები შეფის რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდნენ. აქ ბატონობდა საშუალოსაუკუნეობრივი ფეოდალური ფორმები, არ იყო მრეწველობა, ხალხი შიმშილობდა და მთლიანი ამოწყვეტისათვის იყო განწირული, წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი 96-ს აღიმატებოდა. ტაჯიკებს, თურქმენებსა და უზბეკებს შორის გამეფებული იყო მუდმივი მტრობა და შუღლი. ხალხს მუსრს ავლებდა ეპიდემია, არ იყო ექიმი.

რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ ხანებში შუა აზიაში მოიკალათეს ამერიკელმა და ინგლისელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც ხელი მიჰყვეს ამ მხარის ისედაც გაძვალტყავებული ძოსახლეობის ძარცვა-გლეჯას. შუა აზიის მშრომელებმა მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატის, მისი წითელი არმიის დახმარებით შეძლეს თავისუფლების მოპოვება. საბჭოთა ხელისუფლებამ შუა აზიაში 200 ათასი ჰექტარი მიწა ჩამოართვა მემამულეებსა და ბაებს და გადასცა მშრომელებს. სოფლის მეურნეობის ალმავლობისათვის გაღებულ იქნა უდიდესი თანხები, 700 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა მარტო უზბეკეთის სარწყავი ქსელის გასაუმჯობესებლად, რამაც მშრომელებს 329 ათასი ჰექტარი აქამდე გამოუყენებელი მიწა მისცა. მესამე ხუთწლედში უზბეკეთში აგებულ იქნა სტალინის სახელობის ფერგანის 270 კილომეტრი სიგრძის სარწყავი არხი. ყირგიზეთის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა 1.253.322 ჰექტარი მიწა. მთავრობის მითითებით აქ აგებულ იქნა 4 ათასი სარწყავი ნაგებობა.

1925 წელს სსრ კავშირის მთავრობამ შექმნა განსაკუთრებული ნაციონალური ფონდი, რომლის სახსრები მოკავშირე რესპუბლიკების დასახმარებლად იყო განკუთვნილი. ამ ფონდიდან 1925 წელსვე მარტო უზბახეთმა მიიღო 2 მილიონი მანეთი. უდიდესი დახმარება გაეწიათ შუა აზიის რესპუბლიკებს ნაციონალური მრეწველობის შექმნაში. პირველი ორი ხუთწლედის განმავლობაში თურქმენეთის მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 310,6 მილიონი მანეთი, ხოლო მესამე ხუთწლედში 458,6 მილიონი მანეთი. შუა აზიაში მოკლე დროში აიგო უდიდესი სამრეწველო გიგანტები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა თურქმენეთის დამწერლობა. შუა აზიის რესპუბლიკებში გაიშალა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევა ინსტიტუტების ქსელი. თუ, მაგალითად, მოსწავლეთა რიცხვი სსრ კავშირში 1940 წელს 1914 წელთან შედარებით გაიზარდა ოთხჯერ, ყირგიზეთში იგი გაიზარდა 44-ჯერ, უზბეკეთში — 68-ჯერ, ხოლო ტაჯიკეთში — 660-ჯერ.

1917 წლამდე რუსეთის 14 ეროვნებას არ ჰქონდა თავისი დამწერლობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დიდი რუსი ხალხის დახმარებით ამ ეროვნებებმა არა მარტო თავიანთი დამწერლობა შექმნეს, არამედ განავითარეს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურა და ხელოვნება, გამოზარდეს შესანიშნავი ეროვნული კადრები, რომელთაც ახლა თავიანთი მოღვაწეობით ძვირფასი წვლილი შეაქვთ სოციალისტური სამშობლოს განვითარებაში.

რუსი ხალხის, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალის, უდიდესი როლი სოციალისტური სახელმწიფოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის ბრძოლაში ყველაზე ნათლად გამოჩნდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში. ვერაგი მტერი ანგარიშს არ უწევდა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს თავისებურებას და ვარაუდობდა რომ სსრ კავშირი დაიშლებოდა შემადგენელ ნაწილებად, თავს იჩენდა შუღლი და მტრობა სსრ კავშირის ხალხებს შორის. მტერი სასტიკად მოტყუვდა ანგარიშში. კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ, უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ მჭიდროდ დაირაზმნენ საბჭოთა ხალხები და არა თუ დაიცვეს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება, არამედ მტერი გაანადგურეს მისსავე ბუნაგში და ფაშისტური უღლის ქვეშ მგმინავ ევროპის ხალხებს თავისუფლება დაუმკვიდრეს.

სამამულო ომის შემდეგ რუსი ხალხის დახმარებით, მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხებმა უმაგალითოდ მოკლე ვადაში მოიშუშეს ომით მიყენებული ჭრილობები და აღმოფხვრეს მისი შედეგები, აღადგინეს სახალხო მეურნეობა და წინ წასწიეს საბჭოთა ეკონომიკის, ტექნიკისა და კულტურის ყველა დარგი.

მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალიზმის ბანაკი რომ ასე ძლიერია, აღმოსავ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი განაგრძობდა 14 ქვეყნის რეზოლუციის პროექტისა და მისი შესწორებების განხილვას საკითხზე „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების რეგულირება, შეზღუდვა და თანაზომიერი შემცირება: განიარაღების კომისიის მოხსენება“.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ვ. დავიდმა განაცხადა, რომ 14 ქვეყნის რეზოლუციის პროექტი დუმილით უვლის გვერდს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს — ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვას და არ შეიცავს არავითარ კონკრეტულ მითითებას განიარაღების კომისიისადმი ამ პრობლემის პრაქტიკულად გადაჭრისათვის. ჩეხოსლოვაკიის დელეგაციას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს რეზოლუციის ამ პროექტს იმ სახით, როგორითაც იგი მისმა ავტორებმა „პოლიტიკურ კომიტეტს წარმოუდგინეს.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის დელეგაციის შესწორებანი 14 ქვეყნის რეზოლუციის პროექტისათვის (შესწორებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა, ეკუთვნიან „14 ქვეყნის რეზოლუციის“ პროექტის პრეამბულისა და სარეზოლუციო ნაწილის ზოგიერთ პუნქტს. ამ შესწორებებით განიარაღების კომისიის წინადადება ეძლევა არაუგვიანეს 1954 წლის 1 მარტისა წარუდგინოს უშიშროების საბჭოს წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ პირველ რიგში ხუთი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღების არსებით შემცირებას, აგრეთვე ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვას და ამავე დროს ამ აკრძალვისადმი მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას. — **რედ.**) განიარაღების კომისიას უჩვენებენ განიარაღების დარგში მის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრის სწორ გზას. ეს შესწორებანი კომისიას ავალებენ გამოიმუშაოს წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის შეიარაღების არსებით შემცირებას, აგრეთვე ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვას და ამავე დროს ამ აკრძალვის შესრულებისადმი მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, გადაწყვეტა საკითხისა შეიარაღების შემცირების და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის შესახებ ეკუთვნის ყველაზე მნიშვნელოვან და გადაუდებელ საერთაშორისო პრობლემებს, ამ პრობლემების გადაწყვეტა გადაჭრით შეუწყობდა ხელს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ხმას მისცემს საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილ შესწორებებს.

საფრანგეთის, ისრაელის, კოლუმბიის, დომინგოს რესპუბლიკის დელეგატები და გომინდანელი გამოვიდნენ საბჭოთა შესწორებების წინააღმდეგ. ისინი უზომად ამახინჯებდნენ საბჭოთა შესწორებების აზრსა და მნიშვნელობას, ყოველნაირად ცდილობდნენ არასწორად წარმოედგინათ ისინი.

მექსიკის წარმომადგენელმა, რომელმაც მხარი დაუჭირა 14 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, განაცხადა, რომ მისი დელეგაცია თავს შეიკავებს სსრ კავშირის დელეგაციის შესწორებებისათვის კენჭისყრაში. მან დასძინა, რომ ჯერჯერობით არა აქვს თავისი მთავრობის ინსტრუქციები და ახლა არ შეუძლია განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება საბჭოთა შესწორებებისადმი, რომელიც წინადადებას იძლევა, რომ ის მთავრობა, რომელიც პირველი იხმარს რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ ატომურ, წყალბადისა თუ ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებას, მიჩნეულ იქნას სამხედრო დამნაშავედ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა თავის გამოსვლაში ცხადყო საბჭოთა შესწორებების მოწინააღმდეგეთა მტკიცების ყალბი ხასიათი.

შემდეგ ი. ა. მალიკმა დელეგატების ყურადღება მიაქცია გომინდანელის პროვოკაციულ განცხადებას. ცდილობდა რა დამახინჯებინა საბჭოთა შესწორებების არსი, გომინდანელმა მათში „ბოროტი განზრახვა“ დაინახა.

ყველამ იცის, განაგრძო ი. ა. მალიკმა, რომ ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვის შესრულებისადმი მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ საკითხის მრავალი წლის განხილვის პერიოდში სსრ კავშირის დელეგაციამ შემოიტანა მთელი რიგი ახალი წინადადებანი, რომელთა მიზანია თვალსაზრისების დაახლოება და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვის შესრულებისადმი მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხის გადაჭრის გზების გამოძებნა. კერძოდ, თუ წინათ ჩვენ მოვითხოვდით, თქვა მალიკმა, კონტროლს პერიოდული ინსპექციის გზით, ამჟამად ჩვენ მოვითხოვთ მკაცრ საერთაშორისო კონტროლს და საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს უფლებას — განახორციელოს ეს უფლება მუდმივ საფუძველზე, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ხელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის უფლების უქონლად. ჩვენ დავთანხმეთ აგრეთვე აკრძალვისა და კონტროლის შესახებ ერთი კონვენციის დადების ნაცვლად წინათ მოთხოვნილი ორი კონვენციისა — ერთისა აკრძალვის და მეორისა კონტროლის დარგში. ჩვენ აგრეთვე მოვითხოვთ, რომ ასამბლეამ დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის შესახებ და ასეთი აკრძალვის შესრულებისადმი მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ, მხედველობაში გვაქვს რა, რომ ატომური იარაღის აკრძალვა და საერთაშორისო კონტროლი შემოღებულ იქნება სამოქმედოდ ერთდროულად და არა სხვადასხვა ვადაში — ჯერ აკრძალვა, შემდეგ კონტროლი, ანდა ჯერ კონტროლი, შემდეგ კი აკრძალვა.

რა გაკეთეს ამ ხნის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იმათ, ვინც მათ მხარს უჭერს? მათ არათუ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ თვალსაზრისების დასაახლოებლად, არამედ უკან დაიხიეს. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და მათ მხარდამჭერ ზოგიერთ დელეგაციას ამისაც კი ეშინიათ, რომ რეზოლუციაში, განიარაღების კომისიისათვის დირექტივებში შეიტანონ დავალება, რომ კომისიამ დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვის შესრულებისადმი მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხებზე. ახლა მათთვის მთელი საქმეა მხოლოდ ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ეგრეთწოდებული ცნობების გამოვლინება და შემოწმება. მათ მიერ მოთხოვნილი ასეთი „გამოვლინებისა და შემოწმების“ პირველი და მეორე სტადიების მიზანი მხოლოდ ეს არის. მთელი ყურადღება მიქცეულია ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ცნობების გამოვლინებისა და შემოწმებისაკენ, ამავე დროს მეორე სტადიის დამოვიისთვისაც კი, თუ 8-ნ მოკის მიერ წარმოდგენილი „გეგმის“ მიხედვით ვიმსჯელებთ, სჯერდებიან მარტო ცნობებს ატომურ საწარმოთა ადგილმდებარეობისა და რაოდენობის შესახებ და სრულიადაც არ ითვალისწინებენ ატომური იარაღის აკრძალვას.

რა თქმა უნდა, ასეთი წინადადებანი არათუ ვერ აღწევენ ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების მიზნებს, არამედ, პირიქით, გარკვეული წრეებისათვის ისინი შეიძლება მხოლოდ გახდნენ სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შესახებ დაზვერვითი ცნობების მიღების საშუალად, რომელთა მიღების შემდეგ ყოველთვის შეიძლება გამოიძებნოს იმის საბაბი, რომ შემდეგ, შემდგომი სტადიებისაკენ საერთოდ აღარ წავიდნენ. ამრიგად, როცა ჩვენ ვაცხადებთ, რომ ასეთი სქემა, ასეთი გეგმა, „გამოვლინებისა და შემოწმების შესახებ“, ასეთი წინადადება არ შეიძლება სხვანაირად იქნას განხილული, თუ არა როგორც მოსწრაფება მიიღონ დაზვერვითი ცნობები, ამისათვის ყველა საფუძველი გვაქვს, რადგან ვითვალისწინებთ, რომ ისინი, ვინც დაინტერესებთ მოითხოვს ამ წინადადებებს, არა მარტო თავს არიდებენ გადაწყვეტილებათა მიღებას აკრძალვისა და კონტროლის შესახებ, არამედ ცდილობენ წაიყვანონ კომისია სხვა მიმართულებით, შეცვალონ შეიარაღებული ძალების შემცირების, ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის, მკაცრი საერთაშორისო კონტროლის შექმნის საკითხი წინადადებით „გამოვლინებისა და შემოწმების“ შესახებ.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში თვალსაზრისების არავითარ დაახლოებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან განიარაღების კომისიის ყურადღებას ეძლევა ყალბ მიმართულება, რომელსაც შემცირებასა და აკრძალვასთან საერთო არა აქვს. რა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, საბჭოთა მთავრობის პოზიცია შეიარაღების შემცირებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საკითხში ნათელი და თანმიმდევრულია, განაცხადა ი. ა. მალიკმა. მან კომიტეტს მოაგონა, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა თავის განცხადებაში 13 ნოემბრის პრეს-კონფერენციაზე მოსკოვში კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ხუთი სახელმწიფოს თანთბირმა იხელმძღვანელოს იმით, რომ საჭიროა შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, მივაღწიოთ შეიარაღების არსებითს შემცირებას, უწინარეს ყოვლისა, თვით დიდი სახელმწიფოებისა, რომლებსაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიხედვით, აკისრიათ მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფისათვის. შეიარაღების შემცირების ამოცანასთან განუყრელად დაკავშირებულია აგრეთვე ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვა. მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის არ არსებობს უფრო დიდმნიშვნელოვანი და უფრო გადაუდებელი პრობლემა, განაცხადა ვ. მ. მოლოტოვმა, ვიდრე შეიარაღების შემცირების პრობლემა, ვიდრე გამალებული შეიარაღების შეწყვეტა.

გუშინდელ სხდომაზე პერუს, საბერძნეთისა და ზოგიერთი იმ სხვა ქვეყნის დელეგატებმა, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას მისდევენ, სცადეს ზეგავლენა მოეხდინათ ინდოეთის დელეგაციაზე, რათა მას შეეცვალა 14 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის თავისი შესწორებანი ამ შესწორებათა გაუარესების მხრივ. მაგალითად, პერუს დელეგატმა ბელაუნდემ წინადადება შეიტანა ინდოეთის დელეგაციის პირველი შესწორება, რომელშიც ნათქვამია, რომ გენერალური ასამბლეა მხედველობაში იღებს, რომ გამალებული შეიარაღება „წარმოადგენს არა მარტო ეკონომიურად არაჯანსაღ მოვლენას, არამედ აგრეთვე თავისთავად სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას“, შეიცვალოს იმგვარად, რომ ეს შესწორება არსებითად აქეზებდეს გამალებულ შეიარაღებას ისეთ „ფარგლებში“, რომლებიც თითქოს აუცილებელია „ინდივიდუალური და კოლექტიური უშიშროების ინტერესებისათვის“. პერუს დელეგატის ამ მანევრის მიზანი ცხადია: გამართლოს გამალებული შეიარაღება შეერთებულ შტატებში, რომლებიც ეგრეთწოდებული „კოლექტიური უშიშროების“ საბაბით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ სამხედრო-აგრესიულ ბლოკებსა და კავშირებს ქმნიან და უღიდეს სახსრებს ხარჯავენ გამალებული შეიარაღებისა და ახალი ომის მოსზადებისათვის „კოლექტიური უშიშროების“ ყალბი საბაბით.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა აღნიშნა, რომ პერუს დელეგაციის შესწორება ამსახურება შეიარაღების შემცირების საქმეს. პირიქით, იგი შეიძლება გამოიყენონ იმისათვის, რომ ეგრეთწოდებულ „კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის ვალდებულებათა“ მომზეზებით მოითხოვონ უდიდესი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არა მარტო შენარჩუნება, არამედ მათი გაფართოებაც.

ინდოეთის წარმომადგენელმა მენონმა განაცხადა, რომ პერუს დელეგატის შესწორების მიღება მას შეუძლია იმ პირობით, თუ ამ შესწორების ტექსტს დამატება გაეთიანებული ერების ორგანიზაციის პირველი შესწორება, რომელშიც ნათქვამია, რომ გენერალური ასამბლეა მხედველობაში იღებს, რომ გამალებული შეიარაღება „წარმოადგენს არა მარტო ეკონომიურად არაჯანსაღ მოვლენას, არამედ აგრეთვე თავისთავად სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას“, შეიცვალოს იმგვარად, რომ ეს შესწორება არსებითად აქეზებდეს გამალებულ შეიარაღებას ისეთ „ფარგლებში“, რომლებიც თითქოს აუცილებელია „ინდივიდუალური და კოლექტიური უშიშროების ინტერესებისათვის“. პერუს დელეგატის ამ მანევრის მიზანი ცხადია: გამართლოს გამალებული შეიარაღება შეერთებულ შტატებში, რომლებიც ეგრეთწოდებული „კოლექტიური უშიშროების“ საბაბით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ სამხედრო-აგრესიულ ბლოკებსა და კავშირებს ქმნიან და უღიდეს სახსრებს ხარჯავენ გამალებული შეიარაღებისა და ახალი ომის მოსზადებისათვის „კოლექტიური უშიშროების“ ყალბი საბაბით.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა აღნიშნა, რომ პერუს დელეგაციის შესწორება ამსახურება შეიარაღების შემცირების საქმეს. პირიქით, იგი შეიძლება გამოიყენონ იმისათვის, რომ ეგრეთწოდებულ „კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის ვალდებულებათა“ მომზეზებით მოითხოვონ უდიდესი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არა მარტო შენარჩუნება, არამედ მათი გაფართოებაც.

ინდოეთის წარმომადგენელმა მენონმა განაცხადა, რომ პერუს დელეგატის შესწორების მიღება მას შეუძლია იმ პირობით, თუ ამ შესწორების ტექსტს დამატება გაეთიანებული ერების ორგანიზაციის პირველი შესწორება, რომელშიც ნათქვამია, რომ გენერალური ასამბლეა მხედველობაში იღებს, რომ გამალებული შეიარაღება „წარმოადგენს არა მარტო ეკონომიურად არაჯანსაღ მოვლენას, არამედ აგრეთვე თავისთავად სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას“, შეიცვალოს იმგვარად, რომ ეს შესწორება არსებითად აქეზებდეს გამალებულ შეიარაღებას ისეთ „ფარგლებში“, რომლებიც თითქოს აუცილებელია „ინდივიდუალური და კოლექტიური უშიშროების ინტერესებისათვის“. პერუს დელეგატის ამ მანევრის მიზანი ცხადია: გამართლოს გამალებული შეიარაღება შეერთებულ შტატებში, რომლებიც ეგრეთწოდებული „კოლექტიური უშიშროების“ საბაბით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ სამხედრო-აგრესიულ ბლოკებსა და კავშირებს ქმნიან და უღიდეს სახსრებს ხარჯავენ გამალებული შეიარაღებისა და ახალი ომის მოსზადებისათვის „კოლექტიური უშიშროების“ ყალბი საბაბით.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

კამათი საგარეო პოლიტიკის გამო

პარიზი, 17 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დილით ეროვნულ კრებაში დაიწყო კამათი საფრანგეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის გამო. დეპუტატებმა უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი ევროპულ „ევროპის პოლიტიკურ გაერთიანებაში“ საფრანგეთის მონაწილეობის საკითხზე. აღნიშნული გაერთიანების გეგმა გულისხმობს „ევროპის მთავრობის“, „ევროპის პარლამენტისა“ და, რაც მთავარია, „ევროპის არმიის“ შექმნას.

დაწყებული კამათის მსვლელობაში დეპუტატები არ განიხილავენ „ევროპის ხელისუფლების ორგანოებს“ შექმნის შესახებ ხელშეკრულების პროექტს. მათ მხოლოდ უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი საერთოდ ევროპის ექვსი ქვეყნის (საფრანგეთის, იტალიის, დასავლეთ გერმანიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის) „გაერთიანების“ თვით იდეის გამო. ფრანს პრესის სააგენტოს ერთ-ერთ ცნობაში დღევანდელ კამათს უწოდებენ „ევროპის არმიის“ შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხზე კამათის „გენერალურ რეპეტიციას“, კამათისა, რომელიც დაიწყება, როცა მთავრობა ამას შესაძლოდ დაინახავს. ამ კამათის საშუალებით, როგორც გაზეთი „ეკო“ წერს, მთავრობას იმედი აქვს პარლამენტს მიაღებინოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საფრანგეთის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს „ხელცარიელი არ წავიდნენ“ ჰაგაში, სადაც ამ დღეებში გაიმართება დასავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი „პოლიტიკური გაერთიანების“ საკითხზე, ხოლო შემდეგ ბერმუდესის კუნძულებზეც.

დღეს კამათში პირველი გამოვიდა გენერალი ადოლფ ომირანი („დამოუკიდებელი“), რომელმაც გადაჭრით გაილაშქრა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ წინააღმდეგ. შეეხო რა საფრანგეთისა და გერმანიის ურთიერთობას, ომირანმა განაცხადა, რომ „გაერთიანების“ პოლიტიკა შეუთავსებელია საფრანგეთის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობასთან.

„სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირის“ წარმომადგენელმა გასტონ პალეევსკიმ განაცხადა, რომ საფრანგეთმა უნდა უარყოს ბონის შეთანხმებანი და კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწიოს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში. შემდეგ პალეევსკიმ მოუწოდა მთავრობას გამონახოს ყველა შესაძლებლობა, რათა აწარმოოს მოლაპარაკება სსრ კავშირთან. დასასრულ მან განაცხადა, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია ნამდვილი ფრანგული პოლიტიკის განხორციელება, თუ საფრანგეთი ენერგიულ ღონისძიებათა მეოხებით მოიპოვებს თავის დამოუკიდებლობას, რომელსაც საფრთხე მოელის. „არც ჰაგაში, არც ბერმუდესის კუნძულებზე, — თქვა მან. — არ უნდა მივცეთ თანხმობა ისეთ რამეზე, რამაც შეიძლება შეზღუდოს საფრანგეთის მოქმედების სრული თავისუფლება“.

კამათი გრძელდება.

ფინეთის ახალი მთავრობა

ჰელსინკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა პაასიკივიმ დაამტკიცა ფინეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც ფინეთის ბანკის მთავარმა დირექტორმა ს. ტუომიოიამ ჩამოაყალიბა. ოფიციალური ვერსიით, მთავრობა შეიქმნა თითქოს პოლიტიკური პარტიების მიერ მონაწილეობის მიუღებლად და მას ეწოდება „მოხელეთა მთავრობა“. ნამდვილად კი იგი ძირითადად შედგება უკიდურესი რეაქციული პარტიების — კოალიციური პარტიისა და „ფინეთის სახალხო პარტიის“ წარმომადგენელთაგან. მთავრობის შემადგენლობა შეშფოთებას იწვევს დემოკრატიული საზოგადოებრიობის წრეებში. მთავრობაში შედიან:

პრემიერ-მინისტრი — საკარი ტუომიოია („თავისუფალ მოაზროვნეთა კავშირის“ ჯგუფი); საგარეო საქმეთა მინისტრი — რალფ ტერნგრენი (შვედთა სახალხო პარტია); თავდაცვის მინისტრი — ჰ. ჰეტემიაკი (კოალიციონერი); იუსტიციის მინისტრი — რეინო კუუსკოსკი (აგრარი); შინაგან საქმეთა მინისტრი — ბ. კანისტო („ფინეთის სახალხო პარტია“); ვაჭრობისა და მრეწველობის პირველი მინისტრი — ტეუვო აურა („თავისუფალ მოაზროვნეთა კავშირი“); ვაჭრობისა და მრეწველობის მეორე მინისტრი — ა. ვიჰერჰეიმო (კოალიციონერი); ფინანსთა მინისტრი — ტ. იუნილა (კოალიციონერი); განათლების მინისტრი — ა. სალმინენი (კოალიციონერი); გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა პირველი მინისტრი — სამთო მრჩეველი ე. სერლაკიუსი (უპარტიო); გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მეორე მინისტრი — ინენერი აულის იუნტილა (უპარტიო); სოციალურ საქმეთა პირველი მინისტრი — ესა კაიტილა („ფინეთის სახალხო პარტია“); სოციალურ საქმეთა მეორე მინისტრი — ქ-ნი ირმა კარვიკო („ფინეთის სახალხო პარტია“); მიწათმოქმედების პირველი მინისტრი — კ. იუტილა (აგრარი); მიწათმოქმედების მეორე მინისტრი — ჰ. კულბერგი (შვედთა სახალხო პარტია).

გადაწყვეტილება „მოხელეთა მთავრობის“ შედგენის შესახებ პრეზიდენტმა პაასიკივიმ მიიღო მას შემდეგ, რაც ტუომიოიამ 15 ნოემბერს აცნობა, რომ ვერ მოახერხა ჩამოეყალიბებინა მთავრობა „ფართო საპარლამენტო საფუძველზე“.

ახალი მთავრობის შემადგენლობა წინასწარი წესით ფინეთის დეპუშათა ბიურომ ჯერ კიდევ გუშინ გამოაქვეყნა. დღეს გაზეთები კომენტარებს ბეჭდავენ ამასთან დაკავშირებით.

აგრარული კავშირის ორგანო გაზეთი „მაანკანსა“ ახალ მთავრობას ანტიპარლამენტურ მთავრობას უწოდებს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობის შემადგენლობა სავსებით როდი შეეფერება ცნებას „მოხელეთა მთავრობა“. მთავრობას, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, მეტად მკაფიო პოლიტიკური ელფერი აქვს, რომ მას უპარტიო ეწოდოს.

გაზეთ „ტიუეკანსან სანომატს“ მიაჩნია, რომ ასეთი მთავრობის შექმნა ნიშნავს ფინეთის ჩართვას დასავლეთის სამხედრო კავშირის ფერხულში. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ახალ მთავრობის ამოცანაა მოამზადოს ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია მშვიდის, ვლუხებისა და მშრომელი ინტელიგენციის წინააღმდეგ.

გაზეთი „ვაპაა სანა“ დასკინის გამოთქმას „მოხელეთა მთავრობა“ და აღნიშნავს, რომ ამ მთავრობის ხერხემალს წარმოადგენენ კოალიციური პარტიისა და „ფინეთის სახალხო პარტიის“ ლიდერები, აგრეთვე შვედთა სახალხო პარტიის მოღვაწეები. ასეთი მთავრობა, აცხადებს „ვაპაა სანა“, სეიმის გამოწვევაა.

სამეცნიერო სესია

20 ნოემბერს სარეპოს 8 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (მერეინკის, 8) გაიხსნება სამეცნიერო სესია, მიძღვნილი სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 33-ე წლისთავისადმი.

სესიას შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი.

სესიაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი: „სომხეთში საბჭოთა წყობილების დამყარების XXXIII წლისთავი“ — მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გ. ხაჭაპურიძე, „სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობის იდეა ქართულ ლიტერატურაში“ — მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პოეტი ი. გრიშაშვილი, „ქართლის ცხოვრების“ სომეხი მთარგმნელის ვინაობისა და მოდვაწეობის დროის შესახებ“ — მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ი. აბულაძე.

სასამართლოს დარბაზიდან

თერმოგეჯერ ნასამართლევი

საბრალდებლო სკამზე თავხედურად ზის გაბო აბრამის-ძე მამისთვალოვი.

— სად ცხოვრობდით? — ეკითხება მოსამართლე.

— მისამართი აღარ მახსოვს, — ღიმილით უპასუხებს და თან დარბაზში დამსწრეთ უყურებს: შემხედეთ, რა უსინდისო კაცი ვარო.

— თქვენი პროფესია?

— ეგ რა საკითხავია!

— ბოლო დროს სად მუშაობდით?

ბრალდებულმა პასუხის ნაცვლად მაგიდაზე დადებულ ჭრელტარიან დანას გადახედა...

სწორედ ამ დანით მიმდინარე წლის 9 სექტემბერს თერმეტჯერ ნასამართლევი მძარცველი გ. მამისთვალოვი თბილისის სადგურის ახლოს დაუხვდა მოქალაქე ტ. მარინდაშვილს, სიკვდილის მუქარით წაართვა მას 463 მანეთი და მიმალვას შეეცადა...

მაგრამ კოკამ ამჯერად წყალი ვეღარ მოუტანა. მილიციის ორგანოებმა ბოროტმოქმედი ადგილზევე შეიპყრეს.

ამ დღეებში დამნაშავე გ. მამისთვალოვის საქმე გაარჩია თბილისის ლენინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. გ. ლომიძის თავმჯდომარეობით. სასამართლომ ბოროტმოქმედ გ. მამისთვალოვს მიუსაჯა 20 წლით პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ა. სხვაველი.

დღეს თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — დღესასწაული საკრეულაში, მარჯანიშვილის სახელობის — კოლმეურნის ქორწინება, გრიბოედოვის სახელობის — კიბორი, მოზარდ მაყურებელთა რუსული — ჩექმებიანი კატა (10 საათზე), მუსიკალური კომედიის — მეგობრები, სანიტარული კულტურის — საგზურები, თოჯინების ქართული (10 საათზე) ჩექმებიანი კატა.

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, თბილისი, ისანი — არ არის მშვიდობა ზეთიისის ბიღებში, **კომკავშირელი, 26 კომისრის, დიდუბე, კოლმეურნე** — ვერცხლისფერი მტვერი, **კოლხიდა** —ჩემი პატარა მეგობარი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვოდა-პექსა

პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ გარდაცვალა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბერჯიხ ვოდა-პექსა.

«კინოპროკატის» საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

თბილისის კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული ფერადი ფილმი

სცენარი მ. ვოლპინის და ნ. ერდმანისა, დადგმა კონსტანტინე იუდინისა, რეჟისორები: ვ. გერასიმოვი, ნ. მასლოვი, ოპერატორი ტ. ლებეშევი, მხატვარი გ. ტურილევი, კომპოზიტორი ა. ხაჩადუროვი, ხმის ოპერატორი ვ. ლეშჩენკო, როლებში—მსახიობები: ვ. დავიდოვი, ს. გურზო, ვ. ბელოკუროვი, ო. სოლიოსი, მ. კუზნეცოვა, ე. შატროვა, ს. ჩეკანი, ა. შჩერბაკოვი, ა. ხუსნინი, მ. მაიოროვი, ბ. პოპოვი, მ. კასიმოვი, ა. კრასნოპოლსკი, გ. ჩერნოვოლენკო და სხვები.

ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „მოსფილმის“ 1953 წ. ნაწარმოები.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

19 ნოემბერს	პ. ჩაიკოვსკი— ევგენი ონეგინი
20 ნოემბერს	პ. ჩაიკოვსკი — ძოშები

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მამა სამსონ, ძმები ალექსანდრე, პლატონ, რძლები მერი, თამარ, ძმისწულები თენგიზ, სოსო, ია, ალეკო, დევი, დალი დობორჯგინიძეები იუწყებიან **ვარდო სამსონის ასულ დობორჯგინიძე-კომახიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-XI ს. ლესაში (ლანჩხუთის რ.).

მშობლები სანდრო, ლიდა, და ნინო, მეუღლე ნინო, შვილები ჯილდა, გენრიეტა, ვიოლეტა, ბიძაშვილი ტრიფონ ოჯახით, რძალი ანა სახვაძეები იუწყებიან **ვახო სანდროს-ძე სახვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-XI ს. უბისაში (ხარაგოულის რაიონი).

საქართველოს შამპანური კომბინატის ღვინის ქვის მცავის ქარხნის კოლექტივი იუწყება **ილია პავლეს-ძე მეგრელაძის** გარდაცვალებას.

შვილები ნინო, თამარ, სიძეები ალექსანდრე ყაზახიშვილი, ნიკოლოზ ვარნაზოვი, შვილიშვილები თინა, მარინე, მერაბ, მერი, მეგი იუწყებიან **ევა ჭურდოვანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 19-XI, 4 ს. პლეხანოვის ბროსპ. № 117.

ეთერ და ივანე სურგულაძეები ოჯახით იუწყებიან ბიძის **გრიგოლ ლევანის-ძე ქადიშვილის** გარდაცვალებას.

თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის III კურსის V ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან **მარიამ ერისთავი-მაჭარაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვერა, შვილები ბიჭიკო ოჯახით, თინა, ელენე აბულაძეები, გიორგი, გრიგოლ, დავით, თალიკო, ტოშია თავაძეები, ო. ბოჭორიშვილი, ი. შავგულიძე, ლ. ფხალაძე ოჯახებით იუწყებიან **ვასილ კონსტანტინეს-ძე აბულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XI ზედა საქარაში (ზესტაფონის რ.).

შამპანური კომბინატის ზესტაფონის ღვინის ქარხნის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **ილია პავლეს-ძე მეგრელაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ივლიანე, შვილები მარიამ, დიმიტრი, ანატოლი, ბარბარე, რძლები ნორა, მარიამ ჯობაძეები შვილებით, სიძე ვლადიმერ არჩაია იუწყებიან **ზაქარია დიმიტრის-ძე ჯობაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-XI დაბა სურამში, გამოსვენება ბინიდან, კომკავშირის ქ. № 20.

მეუღლე სალომე, შვილები გიორგი, არჩილ, შალვა, მარო, რძლები საშა, ან